წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 25 გიორგობისთვე 1916 წ. № 263

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს 1[illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვეობრივად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

თბ. გუბერნიის თ.-აზნაურობის
წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ დაესწრნენ

თავად-აზნაურობის საგანგებო საგუბერნიო კრებას,

რომელიც შესდგება

კვირას, 27 ამა ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,

დეპუტატთა საკრებულოს სადგომში.

განსახილველი საგნები: წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოსადმი რწმუნებულობის მიცემა უძრავ ქონებათა და სამრეწველო წარმოებათა შეძენის უფლებისა.

(2—263—1)

დილის წარმოდგენა
(ახალ კლუბის შენობაში)

კვირას, 27 გიორგობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

თამარ-ცბიერი

დრამა 4 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი: იმხნელი, ივანიძე, გვარამე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ციციშვილი, ჩაგუნავა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ **დასაწ. დილის 12 საათზე.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

(3—262—1)

„საპაჭრო სახლი“ (სკლადი)

ერ. ივ. ჭავჭავაძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
ევროპიული
სასადილო

„შრანტის“ ნომრების ქვეშ, ზტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმლები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძლიერ იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253) დიმიტრი უნ. ზიზიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაჩე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გოგიბერია.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163)

პარასკევს, 25 გიორგობისთვეს,

ქართულ ოპერეტის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება მხიარული ოპერეტტა, აზიური მუსიკით

არშინ-მალ ალან

აჯიბეგოვისა.

სტუმრები საზოგადო წესით. ◆ ◆ დასაწყისი საღამოს 8½ ს.

ოპერეტტაზე შესვლა უფასოა.

(1—262—1)

ქ. თბილისში დაარსდა

მელნის ქარხანა
„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხარისხოვან ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ახლის გადახალებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ლირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად

საკუთარი ტყიდან

ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კინტოებს შინ მიტანაზე

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

გამოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის საზაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

სტუდენტები
(დახელოვნებული რეპეტიტორები)

ამზადებენ მსურველთ—ორსავე სქესისას ყველა საშუალო სასწავლებელთათვის. სპეციალურათ სასულიერო სემინარიებისთვის. ოლღას ქუჩა № 56. იკითხეთ 10—12 საათ. დილით.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და კირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 3.

ექიმი

კ. ი. მვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15 00.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 თავისუფალ ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

საერთაშორისო მდგომარეობა

ბალკანეთის ტრაგედია თავის დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელი ცნობების მიხედვით რუმინელების მთავარი ლაშქარი იძულებულია აღმოსავლეთით დაიხიოს, მაკენზენისა და ფალკენჰაინის ჯარები კი რკინის სალტევით გარს ერტყმიან ბუქარესტს. შესაძლებელია, რომ მტრის მოწინავე რაზმები კიდეც შეიჭრნენ რუმინეთის სატახტო ქალაქში და მის ქუჩებს, რომელთაც ბოლო დრომდე უმეტეს შემთხვევაში მუსიკალური სერენადები და მხიარული სიმღერები მოუსმენია, დღეს მძიმე საციხოვნე არტილერიის ხმაურობა აძანძარებს. ჯერ კიდევ ძნელია ამ გარემოების აწონ-დაწონვა. ბუქარესტის პატარა ქვეყნის პატარა დედა-ქალაქია, დაახლოებით ნახევარ მილიონ მცხოვრებს შეიცავს, მაგრამ მისი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა განუზომელია. რუმინეთი ცენტრალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფს ეკუთვნის, სატახტო ქალაქი მისი ხელმძღვანელი და მამოძრავებელი ორგანოა; ამ ორგანოს დროებით დაკარგვაც კი მთელი სახელმწიფო სხეულის მოდუნებასა და დაოსებას უდრის. ამას გარდა ბუქარესტი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეც არის. ბულგარელ-გერმანელთა ჯარს კარგათ შეუძლიათ მისი გამოყენება მომავალი სამხედრო მოქმედებისათვის, მით უმეტეს რომ, როგორც ცნობილია, გერმანულს არტილერიაში უფრო ძლიერი საციხოვნე ნაწილია ვიდრე საველე.

რუმინეთის მიწა-წყლის დაჭერას დიდი ეკონომიური მნიშვნელობაცა აქვს. ეს ქვეყანა ნავთის წყაროებით და პურით არი მდიდარი, ე. ი. სწორედ იმ მასალით, რომელიც ახლა ყველაზე უფრო ესაჭიროება ცენტრალურ სახელმწიფოებს. მაგრამ ბუქარესტის დაჭერის უმთავრესი მნიშვნელობა მაინც პოლიტიკური და მორალური ხასიათისაა.

ცნობილია, რომ საბერძნეთის სიმპატია ბოლო დროს სამწუხაროდ სრულიად აშკარად გადაიხარა გერმანიისაკენ და ათინის მთავრობა მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას ეძებს, რომ სარაილის ჯარს ვერაგულად ზურგში მახვილი ჩასცეს. მხოლოდ ერთი რამ აკავებდა დღემდე მეფე კონსტანტინესა და მის ხელქვეითებს: თავისი საკუთარი ძალების იმედი არ ჰქონდათ და შიშობდნენ, რომ მარტოდ მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ საფრანგეთ-ინგლისის ფლოტსა და ხმელეთის ძალებს. ამიტომ იყო, რომ საბერძნეთი მშიშარა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას აწარმოებდა და ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილებებს აშკარა ღიმილითა და ფარული მუშტის მოღერებით ხვდებოდა. თუ რუმინეთის ოპერაცია ცენტრალური კავშირის სასარგებლოდ დამთავრა, ამ უკანასკნელს დიდძალი ჯარი გაუთავისუფლდება და იმპერატორ ვილჰელმს შეძლება მიეცემა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს თავის სიძეს ბერძნები სამხრეთის ტემპერამენტის ხალხია. როგორც სჩანს უკანასკნელ ამბებს გავლენა მოუხდენია მათ ცხოველ ფანტაზიაზე. ბუქარესტი ჯერ კიდევ ალბათ აღებული არ არის, ათინაში კი უკვე აშკარა შეტაკება ხდება ბერძნებსა და ფრანგ-ინგლისელ რაზმებს შორის. ათინის ქუჩები უფრო ადრე შეიღება სისხლით ვიდრე ბუქარესტისა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ათინის მთავრობა აქამდე დაუყონებლივ ასრულებდა ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილებებს, დღეს კი აშკარად უარს ამბობს უკანასკნელად წარდგენილ ულტიმატუმის დაკმაყოფილებაზე. ასეა თუ ისე საბერძნეთის სატახტო ქალაქში დიპლომატიური ტკბილი ენის ადგილი თოფ-ზარბაზანთა მქუხარე ხმამ დაიჭირა და ამირალ ფურნიეს ულტიმატუმი, რომელშიაც ოთხთა შეთანხმება სამხედრო მასალის გადაცემას ითხოვდა, უპასუხოდ დარჩა.

ეს მოვლენა მეტის მეტად სავალალოა. საბერძნეთის მიმხრობა საგრძნობლად აწევს გერმანიის საბოლოო შანსებს და მის ქედმაღლობას ახალ საზრდოს მისცემს. საბერძნეთის სამხრეთი ნაწილი ეგვიპტისკენ არის მიქცეული, ბერძნული კუნძულები ხიდს წარმოადგენენ ევროპასა, აზიასა და აფრიკას შორის. ეს კუთხე საზოგადოდ მეტის მეტად მგრძნობიარე ადგილია, დიდად საშიში განსაკუთრებით ინგლისისათვის. ცნობილია, რომ ეგვიპტე დიდი ბრიტანეთის აქილესებურ ტერფს წარმოადგენს, მისი მძიმედ დაჭრა აქ უფრო ადვილად შეიძლება ვიდრე სხვაგან სადმე დედამიწის ზურგზე. აქედან ახლოა არა მარტო ალექსანდრია და კაირო, არამედ სუეცის არხიც: სუეცის არხი კი დიდი ბრიტანეთის ერთი უმთავრესი მასაზრდოებელი ძარღვია და ამასთან ერთად უმოკლესი გზაც ინდოეთისაკენ: მისი მოჭრა ან მოდუნება უმწეო მდგომარეობაში ჩააგდებს ინგლის-საფრანგეთს. ამიტომ არის, რომ ეს სახელმწიფოები დიდი ენერგიით მოქმედობენ საბერძნეთში და ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ ეს პაწია სახელმწიფო მტერმა საბოლოოდ არ გადაიბიროს.

ვ. ლელიანი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გენ. ფონ-დელმენზინგენის ლაშქარს, რომელიც ქ. ბუქარესტის დასავლეთით მოქმედობს, გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით ტიტუ-ბუქარესტის ბრძოლის ხაზი გაურღვევია. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. გერმანელ სარდალმა გარდა იმისა, რომ ქ. ბუქარესტი ჩრდილოეთის მხრივ რუმინელების ჯარს მოსწყვიტა, თვით ჯარს რუმინელებისას გადაუჭრა ფრიად ხელსაყრელი გზა. ბუქარესტისაკენ და დღეის შემდეგ იძულებული გახადა ჩრდილო-აღმოსავლეთით დაიხიოს. ეს ამბავი მომხდარა გოკონეშტში, რომელიც მდებარეობს ტიტუ-ბუქარესტის რკინის გზაზე, დიდვლახეთში მომქმედი რუმინეთის ჯარი, თუ გენ. ფონ-დელმენზინგენი ოპერაციის განავითარებს, ორად გაიპობა: პირველი ნაწილი დარჩება ტორგოვისტია-პლოეშტი-ტიტუს ფარგლებში. ამ ნაწილს გარს ერტყმის ჩრდილოეთით გენ. ფალკენჰაინი და დასავლეთით ფონ-დელმენზინგენი. მეორე ნაწილი იძულებული გახდება თავი შეაფაროს ბუქარესტს, რომელსაც ახლა ზევიდან ახლად გამოჩენილი სარდალი ერტყმის, სამხრეთით კი მაკენზენი. დელმენზინგენი უპირველესად შეეცდება გოკონეშტის შემდეგ პლოეშტ-ბუქარესტის რკინის გზაც გადასჭრას. თუ ეს შესძლო, და რომ შესძლებს ეს თავისთავად ცხადია, რახან ბრძოლის პირი უკვე გარღვეულია, მაშინ რუმინეთის ჯარი მეტად სახიფათო პირობებში ჩავარდება. შეიძლება გენ. ფალკენჰაინმა გააფართოვოს ოპერაცია და ჩრდილოეთით და მდ. კრიჩგოვოთი შეეცადოს გზა გადუჭრას და გარს შემოერტყას რუმინელთა ჯარის იმ ნაწილს, რომელიც ახლა მოწყვეტილი ბუქარესტის ჩრდილოეთით მოქმედობს. ერთერთ ჩვენ მორიგ წერილში განვაცხადეთ: გერმანელები რუმინელთ წვერებით უვლიან, მათი მიზანია როგორც პლოეშტს ისე ბუქარესტს შორით შემოუარონ და საერთო ასპარეზის სფეროში შეიყვანონ. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის მიერ გადმოცემული ცნობა: გენერლ დელმენზინგენმა ბრძოლის ხაზი გაარღვია, ნათლად ადასტურებს ჩვენ მიერ წარმოდგენილ ოპერაციის განვითარებას. მაგალითებიდან ვიცით, რომ წვერებიდან შემოვლას, ყოველთვის ცენტრში გარღვევა მოსდევს ხოლმე. ეს სტრატეგიული მანევრა გერმანელებმა ყველგან გაიმეორეს და როგორც ვიცით გამარჯვებითაც დააბოლოვეს. ეს ხდება ახლა რუმინეთშიაც. მართალია, პოლონეთში გერმანელებმა ვერაგზით ვერ მოახერხეს რუსეთის ჯარის მომწყვდევა, მაგრამ პოლონეთის ასპარეზი სულ სხვაა. ჯერ, ერთი, იქ გერმანელებს რუსებთან ჰქონდა სა-

ქმე, მეორე კიდევ მანძილის მეტის-მეტი სივრცესა შუალებას უსპობდა მოპირდაპირეს, საჭიროების მიხედვით დროზე მიეშველებინა ჯარები ამა თუ იმ მიდამოში, რუმინეთში კი ბრძოლის ასპარეზი შედარებით ძალიან მცირეა. ამასთანვე რუმინელთ ძალიან ნაკლებათ აქვს არტილერია. ეს გარემოება სრულებით საშუალებას უსპობს რუმინეთის სამხედრო შტაბს, უკან დახეულ ჯარს ზურგი გაუმაგროს და დროზე გაიყვანოს ცეცხლის ატმოსფერიდან. სამაგიეროდ თვით მოპირდაპირეს კი არტილერიის საშუალებით შეუძლიან უკან დახეულ ჯარს გზები დაუნგრიოს, ალიაქოთი შეიტანოს ჯარში და ამგვარად დააზანოს, დააკავოს ადგილას.

ჩრდილოეთით გენ. ფალკენჰაინი წინსვლას განაგრძობს იგი, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც უახლოვდება პლოეშტს და ხავის მხრივ რკინის რკალს ნელ-ნელა ავიწროებს. მაკენზენის მოქმედების შესახებ დეპეშა არაფერს ამბობს. უეჭველია უკანასკნელი დანარჩენ გენერლებს ელოდა. რაკი ბრძოლის პირი გაარღვიეს ცენტრში, ჩვენ გვგონია მაკენზენი საშინელი სიმკაცრით დაიწყებს შეტევას ბუქარესტის სამხრეთით. ამგვარად ზურგით მუქარას დაუწყებს რუმინელთ და მეციხოვნის ჯარის გაყვანის საშუალებას მოსპობს გენ. ფონ-დელმენზინგენის წინააღმდეგ. საზოგადოდ მდგომარეობა რუმინეთის ბრძოლის ველზე მეტად სერიოზულია. ბუქარესტის ხიფათს ეხლა თვით ჯარის სერიოზული მდგომარეობა დაერთო.

იმედის დაკარგვა ჯერ-ჯერობით მაინც ნაადრევი იქნებოდა. ვფიქრობთ, რუსეთის მხედრობა დროზე მიაშველებს ჯარს და საშუალებას მისცემს რუმინელთ, უზარალოდ გამოვიდეს გერმანელების რკინის რკალიდან.

მოლდავანიაში მდ. ტროტუშზე და ახლო-მახლო მიდამოებში ბრძოლა ჩვეულებრივ სიმკაცრით სწარმოებს. ჩვენ გვგონია გენ. ფონ-დელმანზინგენის ოპერაციის შემდეგ აქ დაწყებულმა ბრძოლამ სახე უნდა იცვალოს, ე. ი. უნდა ველოდოთ, რომ ავსტრიელები იერიშებს გაახშირებენ და შეეცდებიან აქაც ბრძოლის პირის გარღვევას.

X.

ომის დეპეშები

24 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი: კომოშლანის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. კონიუხის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს მოპირდაპირის დარაჯებზე და ტყვეები წამოიყვანეს. მდ. ბისტრიცაზე, სოფ. სტარი ლისეცის მიდამოებში ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებენ. ტყიან კარპატებში ჩვენმა ჯარმა აიღო იაბლონიცის სამხრეთ-დასავლეთით 3 ვერსზე მდებარე მაღლობი, მაგრამ მტერმა ზარბაზნების საშინელი სროლა აგვიტეხა და იძულებული გვყო ეს მაღლობი ისევ დაგვეტოვებინა.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანიის საზღვრებზე მდ. ტროტუშის, სელცის, ჩებინიაშის, უსის და დოფტიანის ველებში ბრძოლა გრძელდება. ვლახეთში მოპირდაპირის იერიშები გრძელდებოდა. აქ მოპირდაპირემ გაიმარჯვა ტორგოვოსტა-პლოეშტსა და გოკანეშტის რკინის გზის მიდამოებში ტიტუ-ბუქარესტის გზაზე, სადაც გაარღვიეს რუმინელების ჯარი, რის გამოც რუმინელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. დანარჩენ ბრძოლის ხაზებზე მოპირდაპირეს იგერიებენ.

23 გიორგობისთვე

თეირანი. დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე თეირანიდან გენერ. ბარათოვის თანხლებით ბრძოლის ველზე გაემგზავრა.

ბუქარესტი. 22 გიორგობისთვის დილის 7 საათის ცნობა. მოლდავიის დასავლეთ საზღვრებზე მტერმა სხვა და სხვა ადგილას შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. მუნტენის ჩრდილოეთ მიჯნებთან არსებითი არაფერი მომხდარა. დასავლეთის ასპარეზზე ჩვენი ჯარი ტორგოვიშტის აღმოსავლეთით მდ. დამროვიცაზეა დაბანაკებული, ტიტუს აღმოსავლეთით და ბუქარესტის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მდ. დუნაის კიდეებამდე. დობრუჯის ასპარეზზე თოფებისა და ზარბაზნების სროლაა.

ლონდონი. თემთა პალატა. შეკითხვის პასუხად ლორდმა რობერტ სესილმა განაცხადა: საბერძნეთში მდგომარეობა მეტის მეტად დამაფიქრებელია. თუმცა მეფე და მთავრობა არა ერთხელ გვარწმუნებდნენ, არავითარი არეულობა არ მოხდებაო, მაინც ვერაგულად გვიღალატეს და მოკავშირეთა რაზმს დაეცნენ. ბევრია მოკლული. დაწვრილებითი ცნობები არ მიგვიღია. ინგლისის მთავრობა საბერძნეთის მეფეს და მთავრობას დიდათ პასუხისმგებლად სთვლის ამ საქმეში. მოკავშირენი იმუშავებენ შესაფერ სამოქმედო გეგმას.

პარიზი. გერმანელების ორი საფრენი ჩამოაგდო პოდპ. ნენჟესერმა, ერთი ორლოს დასავლეთით, მეორე სალიულიარის ტყესთან, ლეშელის დასავლეთით.

24 გიორგობისთვე

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზი. მონასტირის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლაა ზარბაზნებით.

იასი. მარგილომანის გაზეთ „სტოიაგულ“-ში მოთავსებულია წერილი „დავრჩეთ თავ-თავის ადგილას“, სადაც სხვათა შორის სწერია: ბუქარესტის გზით მიიმართება ქალებით, ბავშვებით და ბარგი-ბარხანით დატვირთული ურმების უდიდესი ქარავნები. მიერეკებიან შინაურს საქონელს. ცხადია, ძნელია მშვიდობიან მკვიდრთა დამშვიდება ზარბაზნების ჭექა-ქუხილში, როდესაც ცას ცეცხლი ედება, მაგრამ საჭიროა მთავრობამ ზომები მიიღოს, მცხოვრებთა დასაცავად და გადასარჩენად. უნდა დაარწმუნონ მცხოვრებნი, რომ საჭიროა მშვიდად შეხვდნენ მომდხარ განსაცდელს და ყველა თავ-თავის ადგილზე დარჩეს. მოლდავია დობრუჯიდან გამოხიზნულ მცხოვრებთა და რუსის ჯარით არის სავსე. ამათ რომ კიდევ ახალი გამოქცეულები მიემატოს, უფრო გასაჭირში ჩაცვივა ადგილობრივი მოსახლეობა; მოსალოდნელია შიმშილობა ჩამოვარდეს და გადამდები სნეულება გავრცელდეს. ბუქარესტის პოლიციის უფროსი აცხადებს: ბუქარესტიდან გასვლა მხოლოდ განსაკუთრებულის ნებართვით შეიძლება. ვისაც 2 წლიწადი მაინც სატუსაღოებში გაუტარებია, დაუყოვნებლივ პოლიციაში უნდა გამოცხადდეს. ვისაც მოასწრებენ ქურდობაზე, ძარცვა-გლეჯაზე თუ ცეცხლის გაჩენაზე, იქვე დაჰხვრეტენ.

ლონდონი. ასკვიტმა მეფეს გადადგომის ქაღალდი მიართვა. მეფემ ბონარ-ლოუ დაიბარა.

ლონდონი. საღამოს ოფიც. ცნობა. გუშინ ჩვენი ჰიდრო-ჰაეროპლანების რაზმი რამდენჯერმე შეებრძოლა მტრის მფრინავებს. მოპირდაპირის 2 საფრენი გავანადგურეთ. ჩვენ ერთი საფრენი დაგვაკლდა.

ლონდონი. თემთა პალატა. შეკითხვის პასუხად ლორდმა კრიუმ განაცხადა: ათინაში შესიერება თითქოს დამყარდა. ათინას საბერძნეთის რეგულიარი ჯარი სდარაჯობს. საბერძნეთის მინისტრებმა ინგლისელებს ურჩიეს, პირეიაში გადადით, თუმცა თქვენს სიცოცხლესა და ქონებას ათინაშიაც საფრთხე არ მოელისო. ინგლისის მთავრობას მდგომარეობა სანუგეშოდ მაინც არ მიაჩნია და გადაჭრით მოითხოვს საბერძნეთის მთავრობისაგან თავდებობას, რომ ასეთი მხეცობა აღარ განმეორდება. საქმე ეხება, როგორც სამხედრო ისე საზღვაო უწყებას.

რიგა. რიგის ასპარეზზე საფრენების მოქმედება გახშირდა. ტუკუმის მიმართულებით ჩვენს ასპარეზზე გამოჩნდა გერმანელების საფრენი და ტყვიისმფრქვეველით სროლა აგვიტეხა. ჩვენ ძლიერი სროლა აუტეხეთ და ალბად ძალიან დავაზიანეთ, რომ თავისიანების ფარგალს ველარ მიაღწია და ნეიტრალ ფარგალში დაეშვა.

ლონდონი. ოფიც. ცნობა. მეორე და მეოთხე საზღვაო ადმირალად დაინიშნა სერ სესილ ბოსენი, რომელიც იუტლანდიის სანაპიროებთან ბრძოლის დროს 1 ესკადრას ჰსარდლობდა და კაპიტანი ხოლიეი.

ქაირო. ეგვიპტეში მყოფი ათინის დესპანი თანამდებობიდან გადადგა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი

სამი მხრიდან ალყა შემორტყმულია რუმინეთის სატახტო ქალაქი ბუქარესტი, რომელსაც გარშემო 18 ციხესიმაგრე აკრავს. „ბირჟ. ვედომოსტის“ სამხედრო მიმომხილველის სიტყვით მაკენზენის ჯარი, რომელიც ბალბაკატუს და ბანეშტი-კალუგარენის გზით მიიმართება ბუქარესტისაკენ სულ 15—20 ვერსზეა სატახტო ქალაქიდან. კალუგარენი ბუქარესტის სამხრეთ სიმაგრეთაგან 20 ვერსზეა. ხოლო ბალბა-კატუ ბუქარესტის სამხრეთ-დასავლეთის სიმაგრეთაგან თითქმის ასეთსავე მანძილზე მდებარეობს. ბენეშტი კი ბუქარესტის სიმაგრეთა დასავლეთით 15 ვერსზეა.

მაკენზენის ჯარმა რაკი გოსტინარი აიღო, რომელიც ბუქარესტის სამხრეთით 15 ვერსზეა, ალბად გადაწყვეტილი აქვს ბუქარესტის აღმოსავლეთ ციხე-ბურჯებისაკენაც წაიწიოს. როგორც სჩანს, მაკენზენი ბუქარესტის სამხრეთიდან კომონ-გოსტინარიდან და გრეჩის ტბიდან აღმოსავლეთისაკენაც სცდილობს გაჭრას, რათა რუმინელების ფრთას აღმოსავლეთითაც შემოუაროს.

ამავე საგანზე „რუს. ინვ.“ სამხედრო მიმომხილველი ამბობს: მაკენზენი ბუქარესტის სამხრეთით ოც ვერსზე იბრძვის. აქედან მან აღმოსავლეთისაკენ წაიწია 4 ვერსზე და აიღო სოფელი გოსტინარი. ასეთ მცირე მანძილზე აღმოსავლეთისაკენ წინ წაწევა საერთო მდგომარეობას არ შესცვლისო.

საბერძნეთი

ჯარი ათინაში.

ათინაში დიდი მოძრაობაა. ათინის უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში სწავლა შესწყვიტეს და შიგ დააბინავეს ბერძენი მეზღვაურები.

იარაღის გასტუმრება.

ფიკასა და ლამიაში მხოლოდ ერთ დღეს 12 ზარბაზანი და აუარებელი ყუმბარა გაჰგზავნეს. მეფემ თვითონ დაჰხედა სამხედრო ქარავანს.

სამხედრო კავშირი.

ათინაში შესდგა ბერძენთა სამხედრო კავშირი, რომელიც მოითხოვს მოკავშირეთა წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებას. მეფე კონსტანტინე ამშვიდებს მოკავშირეთა დესპანებს, წესიერება არ დაირღვევაო. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ლამბროსი აცხადებს: წესიერების დასაცავად ჩავაყენეთ მთავრობის ყველა დაწესებულებაში ბერძენთა ჯარიო.

ადმირალი ფურნიე.

ადმირალმა ფურნიემ 12,000 ფრანგი მეზღვაური გადაიყვანა ზაპიონში. ათინის მშვიდობიანი მკვიდრნი შიშის ზარმა აიტანა და სულ სახლებში ჩაიკეტნენ. ქუჩები დაცარიელდა. ტრამვაისა და ეტლების მოძრაობა შესწყდა. მატარებლებიც შეჩერდა.

ჯარის თავმოყრა.

საბერძნეთის მთავრობამ ისარგებლა მოთადარიგეთა მღელვარებით და მათი მობილიზაცია მოახდინა, ვითომც მათ დასამშვიდებლად.

ათინიდან ჯარი გაჰყავთ.

საბერძნეთის მთავრობამ ათინიდან სრულის სამხედრო საჭურვლით გაისტუმრა მეშვიდე და 34-ე ქვეითა პოლკი. ამ ჯარმა თან გაიყოლა ნაწილი იმ იარაღისა, რომელსაც მოკავშირენი სთხოვდნენ მეფე კონსტანტინეს. თან წაიღეს აგრეთვე დიდძალი სურსათ-სანოვაგე. ეს ჯარი, ალბად, ათინის გარშემო მდებარე მაღლობებზე დაბანაკდებიან.

მოკავშირეთა გადაწყვეტილება.

რადგანაც საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეებს იარაღის დათმობაზე უარი განუცხადა, მოკავშირეებს გადაუწყვეტიათ უკიდურეს ზომებს მიჰმართონ.

პოლონეთის სამეფო

ლეგიონები ვარშავაში

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ პოლონელთა ლეგიონები ვარშავაში 20 გიორგობისთვეს შევიდოდნენ დიდის ზეიმით.

პოლონეთის კავშირი

ვარშავაში კრება მოხდა პოლონეთის სამეფოს კავშირის წევრთა. კრებამ დაადგინა: სათათბიროს წევრს ლემპიცკის და ვარშავის მეორე ქალაქის მოურავს ხმელევსკის საყვედური გამოეცხადოს იმის გამო, რომ გერმანეთისა და ავსტრიის მთავრობასთან პოლონეთის საქმეზე მოლაპარაკების დროს დიდი დათმობა გამოუჩენიათ.

ლემპიცკიმ და ხმელევსკიმ ამის გამო რწმუნებულებაზე უარი განაცხადეს და თანამდებობიდან გადადგნენ.

გერმანეთი

შეიდემანის სიტყვა.

გერმანეთის სოც.-დემკ. უმრავლესობის ბელადს შეიდემანს ჰამბურგში დიდი სიტყვა წარმოუთქვამს და სხვათა შორის განუცხადებია: „თუ ჩვენ ამ ომის დროს გერმანეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება მოვახერხეთ, ეს იქნება უდიდესი გამარჯვება, ამაზე მეტს არ უნდა მოველოდეთ.

შეიდემანის მოხსენების გამო კამათი პოლიციამ აკრძალა.

გერმანეთის დავალიანება.

პრუსიის ლანდტაგის ლიბერალი დეპუტატი, პროფესორი გრიუგერი სწერს: ომი რომ მომავალ გაზაფხულზე დასრულდეს, გერმანეთის სახელმწიფო ვალი 100 მილიარდ მარკას მიაღწევს. მხოლოდ სარგებლის გადახდას ყოველ წლივ 5 მილიარდი მარკა დასჭირდება. ასეთ ხარჯებს ვერ გასწვდება ვერც პირდაპირი და ვერც არა პირდაპირი გადასახადები. საჭირო გახდება მონოპოლიების შემოღება.

ვიქტორ კამბონის სიტყვა

პარიზის სამოქალაქო ინჟენერთა საზოგადოებაში წარმოთქმული.

„პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ პარიზელი კორესპონდენტი გვაცნობს ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწის ვიქტორ კამბონის სიტყვას, რომელიც მას ფრანგთა სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებაში წარმოუთქვამს: „თუ თქვენს შორის კიდევ მოიპოვება ვინმე, რომელსაც 2 წელს წინათ გერმანეთის სამრეწველო და საეკონომიო ძლიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მისი დამღუპველი ილიუზიები დღეს სრულიად უნდა გაქრეს. იფეთქა ომმა და თქვენ განცვიფრებულნი დარჩით იმით, თუ როგორ გამოიყენეს გერმანელებმა საინჟენ[illegible] ომისათვის. თქვენ [illegible] მრეწველობის იმ ზრდამ, რომელმაც საფრანგეთს ჩქარა მუხრუჭი მოუჭირა.

ორატორი მომავალ საკითხებს შეეხო, მსმენელთ ურჩია თავი შეიკაონ ზედმეტ ოპტიმიზმისაგან და დასძინა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გერმანეთის დაუძლურება, შემდეგ ყველაფერი თავისით მოეწყობა და საფრანგეთის ეკონომიური ზრდის საშუალებანი შემუშავებულნი იქნებიანო.

კამბონი აფრთხილებს, რომ ჩვენის ქვეყნის მომავალი ძნელი სახით გამოცხადდება და ამ თავითვე უნდა დავიწყოთ მომზადება. წარმოვიდგინოთ საუკეთესო შედეგი ომისა—ამბობს კამბონი:—გერმანეთი დამარცხდა და მოკავშირეთაგან იქმნა დამოკიდებული, რომელნიც, ვულგარულად რომ ვსთქვათ, დაჰკაწრავენ მას და დიდ კონტრიბუციას დაადებენ. ჩვენც, რასაკვირველია, ჩვენს მიზანს მივაღწევთ დაუძლურებულ ხალხითა და კაპიტალით.

ზავის ჩამოგდების მეორე დღესვე ჩვენ ფულისა და მუშა ხელის დანაკლისს ძლიერად ვიგრძნობთ. მუშათა კლასს მილიონზედ მეტი მოაკლდება, ამავე დროს ქარხნებისა და ფაბრიკების შეკეთება იქნება საჭირო და ზოგიერთ ადგილას ახალთა აგებაც, ბელგიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის აღდგენა ორივე სახელმწიფოს ყველა არსებულ ძალებს მოითხოვს და სპეციალისტთა მთელ არმიას მოითხოვს: კალატოზნი, დურგლები და სხვა ხელოსნები მშვიდობიანობის დროსაც, ხომ ცოტანი იყვნენ და მაშინ საიდან გაჩნდებიან? ხელფასი წარმოუდგენელათ გაიზრდება. მრავალი სამრეწველო დაწესებულებანი საგრძნობელ ზარალს ნახავენ, ზოგი საქმის შეჩერებასა და ზოგიც შენობათა დანგრევის გამო. მე მხედველობაში არა მყავს ისინი, ვინც ეხლა ჯარისათვის მუშაობს და რომელთა რიცხვი არც ისე დიდია; უმეტესი ნაწილი სრულ უმოქმედობაშია ჩავარდნილი. სახელმწიფო ვალი 30—50 მილიარდამდის აიწევს. ხაზინას წლიურად 2 მილიარდ ნახევრამდე პროცენტების გადახდა მოუხდება; ამას უნდა მივუმატოთ ერთ მილლიარდზე არა ნაკლები დასახიჩრებულთა, ქვრივთა და ობოლთათვის მისაცემი; ამის გარდა მხედველობაში უნდა გვქონდეს ის დეფიციტი, რომელიც სახელმწიფო გადასახადებს თანა სდევს.

ამ რიგათ სახელმწიფო ბიუჯეტი 8—9 მილიარდამდის აიწევს. ზოგიერთნი ფიქრობენ, კონტრიბუცია მდგომარეობას შეამსუბუქებსო, მაგრამ რა უნდა მოგვცეს იმ ერმა, რომელმაც მტერთა საშინელ წინააღმდეგობას უკანასკნელი ჰფენინგამდის შეალია.

დასასრულ, კამბონი მოუწოდებს თანამემამულეთ, ხელი აიღონ ყოველსავე ილლუზიაზე და ეხლავე ღონე იღონონ, რათა დასძლიონ ეკონომიური კრიზისი, რომელიც ზავის ჩამოგდების შემდეგ უსათუოდ დადგება.

ქართულ საქველმოქმედო საზოგად. გამგეობას

(ხევსურეთში სასწავლებლების დაარსების შესახებ).

მოხსენება (№ 2)

(დასასრული)

ერის შემოქმედების უმთავრესი ნაყოფი არის—ენა, ზნე-ჩვეულება, თქმულება-ზღაპარი და აი ჩვენი პაწია „მგელიკა“ აღზრდილა სწორედ ამ მოვლენათა ინსტიქტიურ შეთვისებაში. ასეთი ყოფილა მისი პირველი ნაბიჯი. შესაფერისი და ბუნებრივი გაგრძელება ის იქნება, რომ ინსტიქტი შემეცნება-შეგნებათ შესცვალოს. მას, რაც ბავშვს თავის არსებაში ინსტიქტიურად შთაუნერგეს—ჩვენმა ელემენტარულმა სკოლამ ახლა სამშობლო ერის აწმყოსა და წარსული ისტორიის შესწავლით ხალხური ენიდამ მწერლობითზე თანდათანობით გადმოყვანით შეგნების ნათელი უნდა მოჰფინოს. ეს უნდა იყოს მიზანი ჩვენი სასწავლებლისა. მის მოსახწევათ ამ სასწავლებელში უნდა გამეფდეს დედა-ენა.

რომ ეს უძლიერესი იარაღი სალი აღზრდა-სწავლისა მართლა ეროვნულ აღზრდის იარაღად გავხადოთ—საჭიროა დედა ადგილი მართლა უმთავრესი მნიშვნელობის მქონე საგნებსაც დაუთმოთ. უპირველესათ ჩვენ პატარა ხევსურს უნდა გავაცნოთ სამშობლოს ბუნების ძალთა და მოვლენათა განწყობილება ადამიანთან და მის შემძლებლობასთან, ე. ი. უნდა შევასწავლოთ სამშობლო გეოგრაფია. მასთან ერთად ისტორია ამ ძალთა განწყობილებისა, ურთ-ერთ სამსახურისა, მამულის დაცვისა, შრომის ევოლუცია და სხვა. სამშობლო გეოგრაფიას და სამშობლო ისტორიას, ამ ორ უმთავრეს საგანს, უნდა შემოეკინძოს სხვა საგნები. მათ უნდა მოამზადონ ბავშვი თანამედროვე ცხოვრების გასაგებად. ადგილობრივ პირობათ, დღევანდელ ხევსურთ, ერთი ძღვენიც უნდა მივართვათ. ისეთ გუნებაზე და კულტურულ განცდაზე დგანან ხევსურნი, რომ აუცილებელია სამშობლო ისტორიის დრამატიზაცია და დიდათ გაღრმავებულიც. ბავშვი გმირთა ბიოგრაფიაზე უნდა აღიზარდოს. ეს თუმცა ცოტა არ იყოს პატარა დანაშაული არ არის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების წინაშე—მაგრამ საქმის ინტერესი ამ ცოდოს ადვილათ მოგვანანიებს. თუ შეძლება გვექნება, ბავშვს თვალწინ მისივე, ხევსურეთის. გმირები უნდა აღუდგინოთ; უნდა გატაცებული იყოს მათი მაგალითით, რომ სამშობლო გმირული ელემენტი ხასიათსა და სულის ძლიერებაში გაუჯდეს.

ამ გვარად დაასრულა პირველ დაწყებითი სკოლა ჩვენმა „მგელიკამ“ და თან გამოიტანა განვითარებული გრძნობა და გემოვნება ლამაზი და ფაქიზი ენისა; ამასთანავე იგი თვალხილულია ერის მრავალფეროვან და მრავალგვარ ცხოვრებისადმი, დაინტერესებულია მისი ბედით, ღელავს მისი მღელვარებით, ცოტა არ იყოს მიხვედრილია თუ რა ადგილი უჭირავს არსებობისთვის საერთო ბრძოლაში მის სამშობლოს. ასეთს მადლს მარილის მოყრაც უნდა. პატარა ხევსურს, ასე თვალ ახილულს, პრაქტიკული, ცხოვრებითი ცოდნაც ესაჭიროება. მის ალპიურ საძოვრებს და მესაქონლეობას ცოდნით სავსე ხელმძღვანელობა და კულტურობა სჭირია. **ამისათვის ყოველ ჩვენ ელემენტარულ სასწავლებელს თან უნდა ახლდეს საინსტრუქტორო კლასიც. პატარა გოგოთურმა უნდა მიიღოს ელემენტარული ცნობანი და ლაბარატორული პრაქტიკა მერძეობა-მეყველეობისა, მიხმა დაიკომ, მჭექალამ,** კიდევ დედის ქსოვნა-მღებრობა უნდა გააუმჯობესოს. მეტი გემოვნობა და კულტურული სახე შეიტანოს დღევანდელ ყოფაში.

ეს საკმარისია ჩვენგნით. ბევრი ხევსური თვითონ გაიკაფავს გზას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლისაკენ. დღეს ჩვენ ზრუნვის საგანს ეს არ უნდა შეადგენდეს. დღეს დღეობით ხევსურეთში სამი თუ არა, ორი სასწავლებელი ამ გვარი ტიპისა უნდა გაიხსნას: ბარისახოში, შატილში და, თუ შეძლებაც გვექნება—ხახაბო ან არდოტში. ეს სოფლები შედარებით უდიდესი ცენტრებია, და უმთავრესი ძარღვთ-კვანძი ხევსურეთისა. თუმცა სიძნელე და დასაძლევი პირობანი ბევრი გვექნება. გარდა იმ საერთო კულტურულ ჩამორჩენილობისა და თავისებურობისა, რომელზედაც იყო ლაპარაკი, სკოლის დაარსება-განვითარებას, უმთავრესად კი ყველა ხევსურების მიერ მითი სარგებლობას საშინლად ხელს შეუშლის მდებარეობა ხევსურეთისა და ბუნების და ბინადრობის ხასიათი.

ხევსურები გაშლით, გაფანტვით ბინადრობენ ხეობებში. სულ რამდენიმე სოფელი თუ მოიძებნება (ხუთი) ორმოც კომლიანი—თორემ სხვა სულ მეკომლე ბინადარია. ხანგრძლივი ზამთრის (ზოგჯერ 7—8 თვე) დროს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი აქვთ. ამ პირობებში მოზარდი ხევსური ყოველივე საშუალებას ჰკარგავს ისარგებლოს სკოლით თუ იგი ზედ სახლზე არ აკრავს. ეს მოვლენა სულ სხვა ხასიათს აძლევს სკოლის საკითხს ხევსურეთში. ბავშვი ცივთოვლიან-ზვავიან ზამთარში სკოლაში უნდა სცხოვრობდეს. **სკოლას თავშესაფარი უნდა ჰქონდეს აუცილებლივ.** მართალია პედაგოგიკა ჰკიცხავს ასეთ მოვლენას, მაგრამ არა ისეთ პირობებში და ისეთ ხალხისათვის, როგორიც ხევსურეთია. პირიქით, მას აქ ყოველივე სალი მოსაზრება ამართლებს. ელემენტარული სკოლა თავშესაფარით, რასაკვირველია, შიგ ხევსურეთში უნდა იყოს, (თუმცა სალხის მხრივ ქალაქში—ნამეტნავად სამაზრო—თიანეთში—შენახვა და მოწყობა უფრო ხელსაყრელი იქნება) რადგან არც თვითონ ხევსურები მოგცემენ თავის შვილებს, მით უმეტეს, რომ პირველი მაგალითი გოგოთურ ქინქარაულის (ბარისახოდამ) გმირობა—ასე მძიმე და შესაზარი იყო ხევსურთათვის. ბავშვი, ქ. შ. წ.-კ. გ. ს—ბის სტიპენდიანტი, გარდაიცვალა, და ძნელი საკისრიც არის ჰაერის გამოცვლის გავლენის გამო და არც სასურველია პედაგოგიურის მოსაზრებით.

თუ ვერ შევძელით უსახსრობისა გამო თავშესაფარების დაარსება, მაშინ, რასაკვირველია, სკოლებიც უფრო პატარები იქნებიან, რადგან სამსახურს მხოლოდ ერთ სოფელს გაუწევენ და ამ სოფლის ბავშვებს შემოიკრებენ თავის კედლებში. რიცხვი მოსწავლეთა ამ შემთხვევაში არ აღემატება 35—45 თითო სასწავლებელში. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევას მივიღებთ, მაშინ ხევსურეთის სასწავლო ბიუჯეტი სამ სკოლაზე გამოიხატება წლიურად შემდეგში: თითო სასწავლებელზე—თითო მასწავლებელი—და, ინსტრუქტორი—180 მ., მსახური და შენახვა თვიურად 15 მ.=195 მ. წლიური ხარჯი სასწავლებელზე—2340 მ. სამზე 7020 მანეთი (წერა-კითხ. სკოლ. მასწ. ჯილდოთ აღემატება—70%).

სამასწავლებლო პერსონალში საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ქალებს.

დღევანდელი მდგომარეობა ხევსურეთისა მათგან საგანგებო შრომას მოითხოვს. ქალმა მასწავლებელმა თბილი და გრძნობიერი, გულითადი და გონივრული მოპყრობით და პირადი ზნეობრივი მაგალითით უნდა შეანგრიოს ის დამღუპველი კედელი, რომელსაც სამარცხვინო და საზარალო ხვეულში და მონობაში ჰყავს ხევსური ქალი, რასაც აგერ დეგენერაციის და გადაშენების პირამდე მიუყვანია ხალხი. საერთოდ როგორც ჩვენ სასწავლებელს,, ისე ჩვენ მსახურთ ხევსურეთში გარდა პირდაპირ სამოსწავლო დანიშნულებისა—დიდი განმანათლებელ - კულტურული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. უნდა აამუშავონ ადგილობრივი ძალები ბუნების ძალთა და სიმდიდრეთა ინტენსიურად დამუშავებაში და მასთან ერთად შეიტანონ ახალი კულტურაც (კარტოფილის მოყვანაც კი არ იციან ხევსურებმა), რათა მით ცოტა არ იყოს გააფერადონ უფერული ცხოვრება ხევსურეთისა.

ასეთ უკუღმართ დასაძლევ მოვლენასთან ერთად, ადგილი ისეთ მოვლენათაც აქვთ, რომელნიც იმედს და რწმენას უღვიძებენ კაცს.

ხევსური საშინლად გონიერი, ცნობის მოყვარე, სადათ და იშვიათის ლოგიკით მსჯელი არსება არის. მასთან ერთად ჯერ გაურყვნელი, თითქმის ხელშეუხებელი ბავშვი ბუნებისა, ზნეობით მაღალი და ფაქიზი, ამაყი, მცოდნე საკუთარი ღირსებისა და ადამიანის პატივისმცემელი, სათნო და ნდობით სავსე. ეროვნულის მხრივ იგი შეურყვნელია, ვერავითარ მეტხორცს ენასა და რწმენაში, აზრში და ხასიათში, რომლის ამოფხვრა ხშირად დაუძლეველი ხდება ქალაქად ან სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეში, აქ ვერ იპოვნის კაცი. ყველაფერი ეს ისეთ ნედლს და მადლიან მასალას იძლევა, რომ სასურველი შედეგები, საქმის კეთილად დაგვირგვინება, ეჭვს არ უნდა უძრავდეს კაცს. დღესაც კი ჩვენგან მოკრებილ რამოდენიმე სოფელში ცნობებით, წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცთა რაოდენობა 20—30 პროცენტს უდრის. ამ სანაქებო საქმეს ხევსური მწყემსობაში სწავლობს. რვეული და ქაღალდის მაგიერობას მას სალი კლდე ან სიპი ქვა უწევს. წიგნი ხომ უსაყვარლეს საგანს წარმოადგენს, რომელზედაც ხევსურს ისეთივე შემჩვევი მი-

უკანასკნელი ცნობები

„ბ. ვედ." სწერს: თუ წინა წერილებში აღვნიშნეთ, ბრძოლა ბუქარესტთან მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული ხდებაო, დღეს სიტყვაც კი ველარ გვიპოვნია ბუქარესტთან ატეხილ უდიდეს და მეტად მნიშვნელოვან ბრძოლის დასახასიათებლად. აქ მომხდარი ბრძოლა განსაცვიფრებელი იმით კი არ არის, რომ მრავალი ჯარი ერთმანეთს ეჯახება, ან და ბრძოლა ფართო მაშტაბით ჩხდება, განსაცვიფრებელია იმით, რომ შედეგი უთუოდ დიდი ექმნება. მოწინააღმდეგეს ბუქარესტზე დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთიდან მიაქვს იერიში. მხოლოდ აღმოსავლეთის კარია გახსნილი. ასეთს უკიდურესს მდგომარეობაშია დღეს ბუქარესტი და როგორ გადასწყდება მისი ბედი, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

—

ტყიან კარპატებსა და მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე სასტიკი ბრძოლაა. ბრძოლამ განსაკუთრებულათ მკაცრი ხასიათი მიიღო ჩერემოშასა, კირლიბაბასა, ტორტუშასა, სულტასა და ჩეკონიაშის მიდამოებში.

—

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობამ სათადარიგო ჯარის კაცთა მობილიზაცია მოახდინაო. საბერძნეთში სამხედრო წესები შემოიღეს. დაბეჯითებით ირწმუნებიან, მოკავშირეთა და საბერძნეთს შორის შეტაკება მოხდებაო. საბერძნეთის ჯარმა სატახტო ქალ-ქი დასტოვა და ჩრდილოეთის მხარეს გადავიდა.

—

ბერლინიდან იტყობინებიან: დიდ ბულგარეთის შესაქმნელად რადოსლავოვი კანონპროექტს ამზადებსო.

—

სატახტო გაზეთების ცნობით, ცენტრალ სახელმწიფოთა ლაშქრის მთავარსარდლად მაკენზენი დანიშნესო. მაკენზენის ბრძანებას ემორჩილება თვით ფალკენჰაინის ჯარიცაო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, სადაც გამოქცეული პოლონელები თავს იყრიან, ადმინისტრაციას უბრძანა, ნება არ მისცეს პოლონელებს საჯაროდ იმსჯელონ მომავალ პოლონეთის შესახებაო.

ახალი ამბავი

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის გამგეობა** ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს 37,505 მანეთის გადადების საჭიროების შესახებ. ეს ფული უნდა მოხმარდეს ნიაღვარისაგან გაფუჭებულ არხების აღდგენას და ქუჩებისა და ხევების გასუფთავებას.

◆ **ქალაქთა კავშირის** გუმბრის კომიტეტი 200 ათას მანეთსა სთხოვს კავშირის განყოფილებას მიმდინარე ხარჯების გასაძლიერებლად.

◆ **გადამდებ სნეულებათა აცრა.** ქალაქთა კავშირის განყოფილება გზავნის აზრუმის მხარეს საგანგებო რაზმს, რომელმაც სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი უნდა აუცრას მცხოვრებთ.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** 24 ამა თვეს ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 239, ხუნაგიანი 33, ყვავილიანი 24, სახადიანი 130, საოფლიანი 487, მუცელათი 8 კაცი.

◆ **საქალაქო სასურსათო დუქნების** მმართველებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მიუმატოს მათ ჯამაგირის 50% და დილით საქალაქო დუქნები იღებოდეს 8 საათზე და არა შვიდზე, როგორც ეხლა არის.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **აბოევისეული აბანო,** რომელიც ჩუღურეთშია მოთავსებული, მეტად მოუწყობელი და ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება თურმე. არც ნიხრი, არც წყალი და არც სისუფთავე არ შეეფერება რიგზე დაყენებულ აბანოს მდგომარეობას. სასურველია ვისიც ჯერ არს მიექცეს ყურადღება ამ აბანოს.

◆ **ბაზარი.** უკანასკნელ დროს თბილისში კარგა ბლომად შემოაქვთ ახალი და ხმელი თევზი. გირვანქა კობრი ფასობს 30 კაპ., ლოქო 35 კ., ფარგა 40 კ., გოქჩაის გელაქნური 80 კ.—1 მ.—20 კ., ორაგული 2 მ. 40 კ., 1 ცალი ტარანი 60—80 კ., წყვილი პატარა შამაია როსტოვისა 1 მ.

◆ **ხელოვნური ხელ-ფეხი.** ვინმე მარჩენკო, ხელობით ელექტროტეხნიკი, ადესიდან ატყობინებს ქალაქთა კავშირის განყოფილებას, რომ თუ მომირიგდებით, თბილისში სახელოსნოს გავმართავ, სადაც ხელოვნურ ხელ-ფეხს დავამზადებ დასახიჩრებულ ჯარისკაცთათვის, მაგრამ ამ სახელოსნოში ჯარისკაცები უნდა მომცეთ სამუშაოდო.

◆ **სახალხო კითხვები.** საგურამოს სკოლის მასწავლებელს კ. სეხნიაშვილს სახალხო კითხვები გაუმართავს ბუნდოვანი სურათებით: სოფ. ჯილაურაში, ზეიდლიანთ-კარის სკოლასა, ნავდარაანთ-კარსა, არაშენდასა, ახალსოფელსა, საგურამოსა და მცხეთაში. კითხვებს დიდის ხალისით ესწრებოდნენ როგორც დიდები, ისე პატარებიც და ყველანი კმაყოფილნი რჩებოდნენ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობასთან არსებული სახალხო კითხვების მომწყობი სექცია დიდად კმაყოფილია ბ-ნ სეხნიაშვილის მუშაობით. კვირას, 27 ამა თვეს, დღის 12 საათზე, ჩუღურეთის ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში ქ-ნი ა. ახალშენიშვილი გამართავს კითხვას ბუნდოვანი სურათებით. ნაჩვენები და განმარტებული იქმნება ბუნების სხვა და სხვა მოვლენანი. სამშაბათს, 29 ამა თვეს, საღამოს 5 საათზე, ვერის უსასყიდლო სასადილოში ბ-ნი ილ. ნაკაშიძე გამართავს სახალხო კითხვას ბუნდოვან სურათებით ბავშვებისა და დიდებისათვის.

◆ **„ბედი ქართლისა“.** რედაქციამ მიიღო ფრიად მშვენიერი გამოცემა ნ. ბარათაშვილის უკვდავი პოემა „ბედი ქართლისა“. ეს გამოცემა წინანდლებისგან იმითი განსხვავდება, რომ დაცულია ავტორის ფაქსიმილე იმ სახით, როგორიც მან დასტოვა უკანასკნელ ვარიანტით. სრული იმედი გვაქვს ამ გამოცემას ხალისით შეიძენს ჩვენი საზოგადოება. წიგნი მანეთი ჰღირს.

◆ **თ დ ალ. ჩერქეზიშვილის** ავადმყოფობის გამო რედაქციას ავადმყოფ თავ. ალ. ჩერქეზიშვილის მეუღლისაგან სასიამოვნო ცნობა მოუვიდა: თავადი თუმცა ჯერ კიდევ ლოგინათაა, მაგრამ თავს კარგათა გრძნობს და ექიმებს იმედი აქვთ მისი მალე განკურნებისა.

◆ **ოპერეტა.** პარასკევს, 25 ნოემბერს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება მხიარული აზიური ოპერეტა „არშინ მალ ალან“. ოპერეტაზედ შესვლა უფასოა.

◆ **ა. ი. გუჩკოვი,** რუსეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სამხედრო-სამრეწველო ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე, 23 ამა თვეს თბილისში ჩამოვიდა და დაათვალიერა ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო დაწესებულებანი, ქალაქთა კავშირისა და ერობათა კავშირის დაწესებულებანი და ინახულა ზოგიერთი ადგილობრივი მოღვაწენი. ბ-ნი გუჩკოვი 2 კვირით სამხედრო ასპარეზზე აპირებს წასვლას და შემდეგ ისევ თბილისს დაბრუნდება.

◆ **შაქარი ილევა თბილისში.** გუბერნატორმა 13 ვაგონი შაქრის „ნაქლადნოი“ გადასცა ქალაქის გამგეობას, მაგრამ როდის მოვა ეს შაქარი, არავინ იცის.

◆ **ექიმთა საზოგადოების** მორიგი კრება დანიშნულია 29 გიორგობისთვისათვის. სხვათა შორის მოხსენებას წაიკითხავენ ექ. მუჩაიძე, მზარეულოვი და სხ.

◆ **ახალი ნიხრი** წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად. იმის მიხედვით გირვანქა ერბოზე დაწესებულია 1 მან. 80 კაპ. 100 კვერცხზე 6 მანეთი.

◆ **ნამალევ ნახშირის აღმოჩენა.** ქალაქის გამგეობის აგენტმა ქალმაკოტოვამ ვარანცოვის ქუჩაზე, რიზაევის ეზოში, აღმოაჩინა ნამალევი ნახშირი, რომელიც იქვე მიჰყიდა მცხოვრებთ ნიხრის კვალობაზე.

◆ **ფარმაცევტთა კრება.** 23 ამა თვეს, ბ-ნ იაკუბოვიჩის თავმჯდომარეობით, მოხდა თბილისის ფარმაცევტთა კრება. დადგენილ იქმნა იშუამდგომლონ ფოსტა-ტელეგრაფის დეპარტამენტის წინაშე, რომ შესაზხაპუნებელი წამლები იგზავნებოდეს დანარჩენ საფოსტო წერილებთან ერთად, და არა ამანათებად, როგორც ეხლაა, ვინაიდან ამანათები იგვიანებენ გზაში. აგრეთვე დადგენილ იქმნა იშუამდგომლონ საექიმო დეპარტამენტის წინაშე გაადიდოს ნიხრი ზოგიერთ წამალზე და მათ შორის სპირტზედაც. ბოლოს კრებამ მოისმინა პეტროგრადის ფარმაცევტთა წინადადება, რომ ესენიც წევრებად ჩაეწერნენ განზრახულ ბიუროში, რომელიც ერთნაირ სამსახურს გაუწევს იმპერიის ყველა ფარმაცევტებს. წინადადება შეწყნარებულ იქმნა და ამასთანავე კრებამ დაადგინა: მოუწოდოს ყველა ფარმაცევტებს, რომ თითო რეცეპტიდან გადასდვან $^1/_4$ კაპეიკი და ამ წესით შემდგარი თანხა ბიუროში წარადგინოს საწევრო გადასახადის სახით.

◆ **პოლიციელთა კოოპერატივი.** 23 ამა თვეს მოხდა პოლიციელთა კოოპერატივის წევრთა კრება. გამოირკვა, რომ კოოპერატივს უკვე შეძენილი ჰქონია 6 თვის სამყოფი სხვა და სხვა პირველმოთხოვნილებათა სურსათ-სანოვაგე. კრებამ დაადგინა, რომ კოოპერატივის წევრებად მიიღოს არა პოლიციელნიც, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ შეძენილმა საქონელმა 3 თვეს მაინც იკმაროს. გადაწყდა კოოპერატივი აკურთხონ 30 გიორგობისთვეს, ხოლო მოქმედებას კოოპერატივი 1 ქრისტეშობისთვიდან დაიწყებს.

ქუთაისი.

ქალაქის სასანიტარო ექიმს ბ-ნს ალ. მაჭავარიანს, მის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების მიზეზით, ბევრი მტერი აღმოსჩენია ქუთაისში და თურმე მუქარის წერილებსაც კი უგზავნიან.

— ქუთაისის გუბერნიაში უკანასკნელად 12 პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი გახსნილა, სახელდობრ: სამეგრელოში: ხეთასა, ახალ და ძველ სენაკებში, ცაცხვსა და აბაშაში; გურიაში: შემოქმედსა, ხიდისთავსა და სუფსაში; იმერეთში: ხორაგოულსა, ბაღდადსა და ტობანიერში, და ერთიც ქობულეთში. $191^3/_4$ წლ. სამოსწავლო წლის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში იყო 17 ასეთი სასწავლებელი, ახლა არის 36.

— 21 გიორგობისთვეს იპ. ვართაგავამ ქალაქის თეატრში წაიკითხა ლექცია: „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“. ეს ის ლექციაა, რომელიც პატივცემულმა ლექტორმა თბილისში წაიკითხა 13 გიორგობისთვეს „ახალი კლუბის დარბაზში. ქუთაისის საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა ლექცია. „სამშობლოს“ რედაქცია ამ ლექციის დაბეჭდვას აპირებს.

ქ. ოზურგეთი.

მასწავლებელთა საზოგადოების ქ. ოზურგეთის განყოფილება, რომლის მიზანია ღარიბ მოწაფეთა დახმარება, ამ დღეებში ქ. ოზურგეთის ახალ თეატრში თავის ნივთიერ ქონებათა გასაძლიერებლად დასდგამს ბელოის ოთხ მოქმედებიან დრამას, „უმუშევარნი“-ს, ამავე პიესით იგივე საზოგადოება გურიის სხვა ადგილების შემოვლას აპირებს.

ჩოხატაური.

ამ ჟამათ აქეთკენ ფუთი გამხმარი პარკი აბრეშუმისა ფასობს 200 მანეთად, თუთუნი 60 მან., თხილი 10 მან.

ს. მეჯვრისხევი

გორელ ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ მეჯვრისხევის განყოფილებამ ამ სოფელში დაარსა საფეიქრო სკოლა, სადაც მოზრდილ ქალებს ასწავლიან ხალიჩა-ფარდაგების ქსოვას. სკოლა აკურთხეს და მოქმედება დაიწყო 21 გიორგობისთვეს. კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. პარაკლისის გადახდის შემდეგ ბლაღოჩინმა ს. გამრეკელმა შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა.

ახალ-სენაკი.

22 გიორგობისთვეს ვიდღესასწაულეთ ჩვენის მგოსნის ნ. ბარათაშვილის დაბადების ასის წლის თავი. იუბილეიში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ჩვენმა ბელეტრისტმა ია ეკალაძემ. აუარებელი ხალხი დაესწრო.

ქუთ. გუბ. თავ.-აზნ. არაჩვეულებრივი კრება

20 ნოემბერს, ქ. ქუთაისში თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით დაიწყო გუბერნიის თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივი კრება.

ამ კრებაზე საგანგებოდ განსახილველად დანიშნული იყო ჭიათურის სალიკვიდაციო მამულების შეძენის საკითხი. სანამ განსახილველ საგანს შეუდგებოდენ, კრებამ თავმჯდომარის წინადადებით, დაადგინა დეპეშით მიულოცონ სახელმწიფო საბჭოში ახლად წევრად ამორჩეულს ჩვენს თანამემამულეს თ-დ აფხაზს.

შემდეგ კრება გადადის შავი ქვის შეძენის საკითხზე.

თავმჯდომარე. როგორც მოგეხსენებათ ჭიათურის სალიკვიდაციო მამულების შეძენის სურვილი გამოაცხადა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ და თბილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ. ამის შესახებ თბილისში გვქონდა მოლაპარაკება „სიეზდის“ წარმომადგენელსა, თ-დ აფხაზისა და სხვების თანადასწრებით და დავადგინეთ, რომ, სანამ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს უარყოფით არ უპასუხებენ, ჩვენ შუამდგომლობა შეგვეჩერებიაო. ამ აზრის ვიყავით ყველა. შემდეგ მე ქუთაისში მოხდა დაბრუნება და წერილით ვთხოვდი თ-დ აფხაზს შეეტყობინებინა საქმის ვითარება. ცხადია, სულ ერთია მამულს ვინც შეიძენს: სიეზდი თუ ჩვენ. სასურველია მხოლოდ, რომ ეს მამული ჩვენის ხალხის ხელში იყოს. შემდეგ თ-დმა აფხაზმა შემატყობინა: „საჭიროა შუამდგომლობა და მასთანვე ოფიციალური ვექილობაო“. ამ ამბავმა მაფიქრებინა, იმედები ცოტაა, მამული შავი ქვის მრეწველებს დარჩესთ-მეთქი. თ. აფხაზმაც ასე იმიტომ მაცნობა, რომ ჩვენც არ გაგვცლოდა ხელიდან. ამიტომ საჭიროა თავად-აზნაურობისაგან წერილობითი ვექილობა მქონდეს. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ შუამდგომლობას მანამ არ აღვძრავთ სანამ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმე ასე თუ ისე არ დაბოლოვდება.

ს. წერეთელი. თუ მართლა გარემოება ასე შეიცვალა, იმ შემთხვევაში თ-დ ნიჟარაძის წინადადება მართალი იქმნება, მაგრამ მე მგონია, საკმაო საბუთები არ გვაქვს ამისი.

თავმჯდომარე. თ-დ აფხაზის წერილი საკმაო გახლავსთ საბუთად. იმის იმედი ცოტაა, რომ ეს მამული შავი ქვის საბჭოს გადასცენ.

თავ. მექი ფაღავა. ჩვენი სიეზდთან შეჯიბრება ორსავე დიდად გვაზარალებს, ამიტომ საჭიროა მას შემდეგ აღვძრათ ეს შუამდგომლობა, როდესაც სიეზდს უარს ეტყვიან.

ს. წერეთელი. როდესაც ჩვენ მრეწველთა ინტერესს ვიცავთ, იმავე დროს ვიცავთ ჩვენი თავად-აზნაურობის ერთ ნაწილის ინტერესსაც, რადგანაც მრეწველთა შორის თავად-აზნაურთაგანიც ბევრი ურევია.

გ. ლასხიშვილი. მე არა მგონია, რომ თ-დი აფხაზი ეწინააღმდეგებოდეს მის უწინდელ აზრს. წინად ის იმ აზრისა იყო, რომ ხელს არ შეუშლიდა ჭიათურის მრეწველებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია სიტყვიერი ვექილობა მოგცეთ.

პ. ჩხეიძე. ბატონო, ერთი გამაგებინეთ, ერთ დღეს მოხდება გარჩევა იმისა ვის უნდა შეძენა მამულისა, თუ დღეს ერთს გაარჩევენ და ხვალ მეორეს?

თ. მ. ფაღავა. სიეზდს კანონით არა აქვს უფლება მამული შეიძინოს, ამიტომ ჯერ უნდა შესცვალონ წესდება, რომ სიეზდსაც ჰქონდეს უფლება იყიდოს მამული და შემდეგ გაარჩევენ მთხოვნელებს.

ს. გ. ყიფიანი. საჭიროა, ბ-ბო, გავითვალისწინოთ, ვის უფრო მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენის საზოგადოებისათვის. თავად-აზნაურობას აქვს თავისი დაწესებულებანი, ეხმარება სკოლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებათ. გარდა ამისა, მეტი იმედია თავ.-აზნ. გადასცენ მამული, ამიტომ ინიციატივაც თვით თავ.-აზნ-ბამ უნდა იკისროს.

ხმები. მართალია.

გ. ლასხიშვილი. ფინანსიურად სიეზდს მეტი უპირატესობა აქვს, რადგანაც თავად-აზნ. ობლიგაციების საშუალებით უნდა შეიძინოს მამული და სიეზდი კი ვალს აიღებს საფუთო გადასახადის გარანტიით.

კრებამ მიიღო წინადადება, გაეგზავნოს თ-დ აფხაზს დეპეშა, რომ დაუჭიროს მხარი ჯერ სიეზდს და, თუ ეს არ მოხერხდა, შემდეგ იშუამდგომლოს თავ.-აზნაურობისთვის.

კრებამვე მიიღო წინადადება, რომ ის ოცი ათასი მანეთი, რომელიც უმაღლესად ეძლევა ქართულ გიმნაზიას, გადირიცხოს გიმნაზიის შენობის ვალში (გიმნაზია დაგირავებულია 140 ათას მანეთად). შემდეგ ამოირჩიეს კომისია, რომელიც გაარჩევს თბილისის თ.-აზ. წესდებას ღარიბ თავად-აზნაურთა დამხმარე კასის დაარსების შესახებ. ამისთვის ქუთ. გუბ. გადადებულია 50 ათასი მანეთი და აგრეთვე უნდა იქნეს 10 ათასი მან. ძირითადი თანხა. თავად-აზნაურობის მხრით კომისიაში შედიან თ-დი ვლ. მიქელაძე, ს. ყიფიანი, ვ. ჭილაძე და თ-დი მ. ფაღავა. კრებამ დაადგინა აგრეთვე შეუერთდეს თბ. თავ.-აზ.-ბას და ორივემ ერთად გამართონ კავკასიაში ლოტარეია და მოგებული ფულიდან შეიძინონ სახელმწიფო შინაგან სესხის ქაღალდები და დანარჩენი თანხა მოხმარდეს კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათ. აგრეთვე დაევალა გუბერნიის მარშალს რაიმე ღონისძიებით შეიძინონ საჭირო შაბიამანი. დასასრულ, კრებამ გუბერნიის მარშალს გადაუწყვიტა 5000 მ. ერთი წლით საჭირო საქმეებისათვის პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში სამგზავროთ. ეს თანხა მიეცემა თავ.-აზნ. ბანკის მომავალ მოგებიდან.

ან.

თბ. ეპარქ. მღვდლების მომავალ კრებისათვის [illegible]

ნეტა რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი,
თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი.
ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდები.

მინდა წინ გავიმძღვარო ეს ორი ნაწური ჩვენის ხალხის გენიის სულის კვეთებისა და ნურვინ იკადრებს ცილი დამდოს პირადის ანგარიშებისა, მიხსნას ცხრა ხატმა და ცხრა ანგელოზმა და ჩემთა მამა-პაპათა სალოცავებმა ამგვარის მიდრეკილებისაგან, მაშორის ეს უნაცილო ცილი და მომცეს ზენაარსმა შეძლება პირი ჩემი იტყოდეს სიმართლესა და მეც შეუდგები სიტყვის თქმად.

„საქართველოს“ რედაქციამ გვამცნო თბილისის საეპარქიო კრება ამა წელს დანიშნული იქნება ნოემბრის შუა რიცხვებშიო. „საქართველოს“ საშუალებით მინდა ჩემი მცირეოდენი კითხვანი და მოსაზრებანი განვუზიარო ჩემთა მოძმეთა.

1. ყოვლის მხრიდან გვიკივიან—ჩვენი სამღვდელოება დაცემულიაო. ჩვენც ვადასტურებთ, რომ ჩვენი სამღვდელოება მიწასთან გასწორებულია. მასში აღარ მოიპოვება მადლი ღვთისა, მამაპაპათა ქველმოქმედების, ძლიერის სულის, ფიცხლის გულის და უდრეკ ხასიათის ნიშან-წყალი, მთლად დაკინინებულია, დაავადებული და ჩაფერფლილი. ჩვენი სამღვდელოება მისულია წყლის კიდურამდის, შემდგარია ნაპრალის თავზედ, მოყოლილია მოჯადოებულს წრეში და დღეს თუ ხვალ მოელის იგი ან წყალში ჩახრჩობას, ან ხრამში და უფსკრულში გადაჩეხას, ან მთლად გათიშვას სიცოცხლისაგან. ამგვარს ჩვენს მდგომარეობას მტერი დაჰხარხარებს და კიდევაც აღიზიანებს. ჩვენც გვძინავს და ველით, რომ მოვიდეს ვინმე სხვაგნით კაცი ძლიერი,—სულით მაღალი, გაგვიძღვეს წინ, გვიჩვენოს გზა და გვიხსნას დაღუპვისაგან. არა, ეს სასწაული არ მოხდება, ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, გაფუჭებული საქმე ჩვენსავ ხელით უნდა გამოვისწოროთ.

უეჭველია, იკითხავთ, რად არის ამ მდგომარეობაში სამღვდელოება და ვინ დაუყენა ასე ბოროტად საქმე? ვინ დააყენა ამ გზაზედ?, ვინ და იმან, ვინც მოუსპო წყარო ცხოვრებისა, ვინც ამოჰხადა ამას სული მეტყველებისა თავისის კანცელარიებით. თუ ვინ იყო ან ერთი, ან მეორე, ეს მეც კარგად ვიცი, თქვენც და ყველამაც. სამღვდელოება აქ დამნაშავე არ არის და არაფერს შუაშია. საქმე ის გახლავთ, რით ეშველება ამგვარ დაავადებულს წოდებას, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ გასაჭირს თავი დავაღწიოთ. აი პასუხი: თუ სულეთის სამეფოში ჩვენს მიცვალებულებს ესაჭიროებათ საზრდო. საკვები, რისთვისაც ვუხდით ქელეხებს და ტაბლებს, ნუ თუ შიმშილით და სიტიტვლით მომაკვდავ ჩვენს სოფლის სამღვდელოებას არ უნდა მიხედვა? მაშ მიეცით ლუკმა-პური, სანამ ჯერეთ სული არ განუტევებია, დაუფარეთ სიტიტვლე. ვაპუროთ, ვასაზრდოვოთ, ჯერ-ჯერობით იმ ულუფით, რომელიც ნაწყალობებია. სინოდისაგან სამღვდელოებისათვის უკანასკნელად გადადებულ თანხის განაწილების დროს ნუ იქნება შენ-ჩემობა, დიდ-პატარობა. ისე კი ნუ მოიქცევით, მამანო, ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მისცეთ და ვისაც ცოტა, იმას ცოტა. აქ სოფისტიკას ხელი ვუშვოთ —ვისაცა ჰქონდეს,—მიეცეს და მიემატოსო. ეს ნიჭზედ და მოქმედებაზედ სთქო ქრისტემ და არა ლუკმა-პურზედ. ხომ იცით, რა უთხრა მდიდარსა?—რომ სრულ იყო, განიყიდე სამოსელი, აღიღე ჯვარი და შემომიდეგ მეო.—რა შედარება შეიძლება რომელისამე ხევსურეთის მღვდლის ცხოვრებისა, რომელიც შვიდის თვით მოწყვეტილია თავის ცოლშვილს, თავს იკვებავს და ირჩენს ქენჩებში, სადაც ოდესღაც დათვებს და მაჩვებს სოროები ჰქონიათ და უცხოვრიათ და ქალაქის „ბატიუშკას“ შორის. პირველი მთლად გაყინული და გათოშილი უცეცხლობით ვერ მოსცილებია სარეცელს, მეორე კი დღე მუდამ დაიარება სხვა და სხვა სასწავლებელში გაკვეთილებზედ, ივსებს ჯიბეებს და თვის ბაღლად თვის მრევლში წესის შესასრულებლად ჰგზავნის უადგილოდ შთენილ მღვდლებს. ნუ თუ პირველსა და მეორეს თანასწორად უნდა მიეცეს ნაწყალობები, ან მეორეს მეტი და პირველს ნაკლები? ჰქენით სამართალი, ღირსნო მამანო, ნუ დასწვავთ სულსა, მიეცით გაჭირვებულ სოფლის სამღვდელოებას ნახევარი მაინც ნაწყალობევ ულუფისა. აგრეთვე ნუ დაივიწყებთ სოფლის სამრევლო სკოლების მასწავლებელთ ქალთა და ვაჟთა, ამ ღვთის ცოდვილთ, ღვთის სინაბრობაზედ მიტოვებულთ. იძახიან, ჯამაგირები მოუმატესო. ქალაქის მასწავლებლებმა კიდეც მიიღესო. თუ ეს მართალია, იმ საწყლებმა, სოფლის მასწავლებლებმა, რაღა დააშავეს! შიმშილით სწუდებიან ამ აუტანელ სიძვირეში, ნუ დავხოცთ, ჩვენი შვილე-

---

საკუთრება გადააქვს, როგორც კარგ ხანჯალზე, ან ხმალზე. ერთი ამბავი: შატილში უკანასკნელი ეგზემპლიარი ვაჟას „ბახტრიონისა“ მივეცი ერთ ხევსურს. წიგნი მეორემაც მთხოვა. აღარა მქონდა. ხევსური დაღონდა, გული საშინლად დასწყდა. მიუთითე „ბედნიერზე“ და უთხარ, როცა წაიკითხავს, გათხოვებს მეთქი. „ბედნიერმა“ ძალიან შორს დაიჭირა ჩემი სიტყვა. „როგორ თუ ვათხოვებო, ვის მივცემ წიგნს ჩემი ცოცხალი თავითაო“! ვისწავლი და ზეპირად ლექსად ვეტყვიო! გაკვირვებულმა მივმართე—კაცო, წიგნი ხომ ხანჯალი არ არის, შემოიკრა და სულ ზედ ატარომეთქი. აქ ხევსურმა ისე გადმოგვხედა, რომ სიჩუმე ვარჩიეთ.

ზეპირად სწავლაც—უქმი სიტყვა არ არის. იშვიათი მეხსიერების წყალობით მთელ პოემებს ზეპირად გეტყვიან. ჩემს იქ ყოფნაში, „დიმიტრი თავდებული“ მარტო ერთი არ იყო, რომელსაც ზე არსად სრულის სულიერის განცდით და მღელვარებით გეტყოდენ ხევსურნი.

ასეთი ხალხი მომავალის სულ სხვა სურათს გვიშლის თვალწინ. განათლებული, მოღონიერებული, თავის მცნობი, ამაყი არა მარტო წარსულით, არამედ აწმყოთიც, ხევსურეთი მგონი რომ ნებას მოგვცემს თვალბედითი მათ თავზე წაკითხული სურათი:

Чрезъ двѣсти лѣтъ у перевала Ацунты, на 10000 футъ надъ уровнемъ моря, будетъ стоятъ веселая гостиница. На вывѣскѣ будетъ красоваться надпись: „Au petnier Khevsur“. Пра-правнуки д’израели и Горчаковыхъ заѣдутъ туда по пути въ Индію, совершивъ предварительно экскурсію въ живописную Хевсурію. Въ Тіонеты также будетъ стоятъ трехъ этажный отель: A la ville de Paris, и тамъ высокіе гости будутъ встрѣчены оберъ-келнеромъ. На обѣденной карточкѣ будетъ красоваться минятюрная форель, всего только въ одинъ рубль цѣною, а бутылка стараго кахетинскаго будетъ обозначена неизмѣримо дешевою цѣною четырехъ рублей.. Ибо цивилизація нивеллируеть все, что ее можетъ вынести, а Хевсуры, которые ее вынести не могли, вымерли.*)

ასე შევცვალოთ: სულ ბევრი ნახევარ საუკუნის შემდეგ აწუნთის ქედზედ იქნებ მართლა იყვეს მხიარული სასტუმრო. მაგრამ სასტუმროს გვერდით აღმართული იქნება ფერმა და კეთილ-მოსახლეობა ხევსურისა. ამაყი, იმედიანი თვალები ახოვანი „ძუძუნა“ მიდამოს პატრონ-ბატონის კმაყოფილობის გამომეტყველებით მორიდებით და გაოცებით აღარ შეჰხედავს ხშირს მოგზაურს. ღირსებით სავსე, ცოდნით და ქონებით განსპეტაკებულს სახეზე წარუხოცელი ლაქვარდ იერი ემჩნევა, რომ მთის ბატონი მხოლოდ ის არის. თიანეთშიაც იქნება სასტუმრო, ფრანგული თუ გერმანული წარწერით, მაგრამ ქართული სიტყვით და ქართული სუფრით. მის ჩამოყალიბებით განიერ და ფართო მოხდენილ ქუჩებში ჩამწკრივებულ ბუმბერაზ შენობებზე იქნება მრავალმეტყველი წარწერა ხევსურეთის ნაწარმოებით მოვაჭრე სახლებისა. იქნება კალმახიც და ღვინოც დიდი ფასებით... ცივილიზაცია ყველაფერს ამაღლებს და აცალფერადებს, რაც კი გაუძლებს მას, და ხევსურებიც, რომელთაც შესძლეს მისი ჰაპნის წევა, საერთო კულტურულ ფერხულში იქმნებიან ჩაბმულნი.

ასეთია მომავალი, თუ დროზე მივხედეთ. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ უცილობლივ უნდა ითავოს ეს საქმე. მან კულტურული დაწესებულებათა ძალა უნდა შემოიკრიბოს მ.ს განსახორციელებლად.

1. უნდა გაიხსნას ელემენტარული პირველ დაწყებითი სასწავლებლები: ა) ბარისახოში, ბ) შატილში და გ) არდოტში.

2. სასწავლებლებს თან უნდა ახლდეთ საინსტრუქტორო კლასი მერძეობა-მეყველეობის და ქსოვნის შესასწავლად.

3. სასწავლებელი უნდა იყოს ეროვნული—შერჩეული და შემგუებელი დღევანდელი ხევსურისა. საზოგადოებამ უნდა ისარგებლოს თავისი უფლებით დაზარალებულთა დამხმარებელ საქმეში და 1914 წლის, 1 ივლ. კანონით.

საზოგადოებამ უნდა იკისროს თავშესაფარის მოწყობა თუ ყველა ბავშვებისათვის არა (გარდა იმ სოფლის ბავშვებისა, საცა სკოლა იქნება), ომის მიერ დაზარალებულთა ბავშვთათვის მაინც.

ზ. ქარუმიძე.

---

*) Д-ръ Радде: „Замѣтки о Хевсуріи“.

ბი, ჩვენი ძმები არიან, როგორ გინდათ, რომ ერთგულად და მხნედ მუშაობდნენ მშიერის კუჭით?! აღძარით კითხვა თქვენს კრებაზედ და მიუპყარით მთავრობის ყურადღება მათკენ.

2) ჩვენში ადათად არის, მიცვალებულს მეშვიდე თუ მეორმოცე დღეს **სულს აუხსნიან**. რაც გახლავსთ ეს სულის ახსნა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. თუ მიცვალებულს სჭირია სულის ახსნა, ერთი ათად და უფრო მეტად ესევე სჭირია ჩვენს სასულიერო წოდებას და კერძოდ სამღვდელოებას.

წელანაც ვსთქვი და ეხლაც ვამბობ, რომ ჩვენი სამღვდელოება სულიერად და ხორციელად მოუძლურებულია, რომ ვიტყვით: დასდევ, უფალო, საცო პირსა ჩემსა —სწორედ ასეა; მისს ენასა, პირსა და სულს ადევს მძიმე ბოქლომი უტყვობისა, უმოქმედობისა. უნდა ავხსნათ ეს სულის კლიტე, ვასუნთქოთ სამღვდელოებას წმინდა ჰაერი; ენა ამოვადგმევინოთ. ერთად-ერთი უტყუარი და მაგარი აზარმაცი ჩვენის სამღვდელოების ფეხზედ წამოყენებისა არის აღდგინება ჩვენის ეკლესიის **თვითმართველობისა**, მაგრამ ამაზედ ეხლა არას ვიტყვი. ეხლა შევეხები იმ დროებითს საშუალებებს, ეგრედ წოდებულს პალიატივებს, რომელთ შემოღება საეპარქიო კრების ხელშია და რომელთაც შეუძლიანთ ჩვენი სამღვდელოება დაიცვან დარღვევისაგან.

მოგეხსენებათ, რომ ჟამთა ვითარებამ წარმოშობა ჩვენში კეთილმოწესენი და ეს პირნი, რომელნიც წინეთ არჩევის წესით ინიშნებოდნენ, დღეს არიან უცვლელნი და განაგებენ ჩვენის სამღვდელოების ავსა და კარგს თავის კონდაკით. უნდა აღსდგეს არჩევნებითი წესი კეთილმოწესეთა; ეს ბევრად წინ წასწევს ჩვენის სულის ახსნას. მარტო ის ფიქრი, რომ დღეს თუ მე ვარ ამ თანამდებობაზედ, ხვალ შეიძლება ის იყოსო და რასაც დავთეს, ის მოვიმკიო, ბევრად შეაკავებს თვითნებობისაგან კეთილ-მოწესრიგეს.

3) მესამე ბოროტებად ჩვენს უწყებაში ვთვლი იმას, რომ მღვდელსა და მედავითნეს აღეკრძალებათ რაისამე თხოვნის მიცემა უმაღლეს მთავრობასთან ადგილობრივის კეთილმოწესის დამოუკიდებლად. ესეც სულის შეხუთვაა, მა რა ეშმაკებია. სულკეთილი ჩემი მწყალობელი ხარ, მაგრამ მაინც არ მინდა ჩემი გულის ხვაშიადი შენ გაგიმხილო. ძალაა? არა, გინდა თუ არა მე უნდა წარმომიდგინო და მე შევაზავო და ისე წარვუდგინო უფროსსაო.

ამაში კეთილმოწესეთ ბრალი არ უდევთ, ეს ნაბრძანები აქვთ და ისინიც ასრულებენ. კიდევ ვიტყვი, ბოროტებაა ეს და კრებამ თავის დადგენილებით უნდა მოსპოს. ყველას უნდა ჰქონდეს ნება თავისუფლად მიართვას თავისი თხოვნა მთავრობას.

4, ამ გვარივე ბოროტებაა ახალის წესით მღვდლის მიერ ჯამაგირის მიღება. მღვდელს, როგორც წინამძღვარს თავის ეკლესიისას თავისის მეფსალმუნით უფლება აყრილი აქვს თავისი მთხოვრული ჯამაგირი მიიღოს სამაზრო სალაროდამ თავის კეთილმოწესის შეუმოწმებლად. ამაზედ მეტი დამცირება და გათახსირება იქნება სამღვდელოებისა? ესეც უწმინდ. სინოდისაგან არის?—სრულიად არა. ეს იმ მოსაზრებით არის შემოღებული, რომ ორიოდე გროში კიდევ გამოურიცხოთ, ან ქაღალდისა, ან საქმის გაკეთებისა, რაიმე დავალიანებისაო. უნდათ, რომ მღვდელი თუ მეფსალმუნე ყოველის მხრით შებოჭილი და დამონავებული ჰყავდეთ. აბა დაუფიქრდით? შატილიდამ (პირიქით ხევსურეთშია), ან არხოტიდამ (ესეც პირიქით ხევსურეთია), უნდა წამოვიდეს ქ. დუშეთში ჯამაგირის მისაღებად 33 მან. მღვდელი იქნება თუ მედავითნე; რომ არ დაბრკოლდეს, ჯერ უნდა წავიდეს ქ. თიანეთში, იქ კეთილმოწესეს შეამოწმებინოს თხოვნა და მერე იქიდამ დუშეთს ესტუმროს. იცით თქვენ, რომ ორასი ვერსი უნდა გააკეთოს ხევსურეთის გზებზედ წასვლა-წამოსვლით? უნდა გადალახ-გადმოლახოს მთავარი ქედი კავკასიონის, გაიაროს და გამოიაროს თერთმეტი ბეწვის ხიდი და თვალი და ფეხი მარჯვედ ეჭიროს, ზვავი არ გასკდეს და დაღუპოს? მერე, შესაძლოა, შინაც არ დაუხვდეს კეთილმოწესრიგე. მოიცადოსო, იტყვით; კარგი, მაგრამ ცოლშვილი რომ მშიერი უწყდება? ამისი წყალობა იყო, რომ არხოტის მღ. ბალიაურმა სამი თვის ჯამაგირი დაჰკარგა და შემდეგ ტანჯვითა და წვალებით პეტროგრადიდამ მიიღო,—იქ დავაბრუნეთ, როგორც უპატრონოვო. არა, მღვდელია, წინამძღვარია ეკლესიისა, ხელში უჭირავს ჯვარი და სახარება, ყაჩაღი ხომ არ არის, თქვენ ანდობთ ეკლესიას, ორიათასს სულს ქრისტიანს; იმისი სული და ხორცი თქვენს ხელშია, სად და ვისთან წავა თავის ანაფორით, მაშ რისთვის წაართვით უფლება თავისი მთხოვრის ჯამაგირი თავის ნებაზედ მიიღოს? იმასაც ხომ ხაზინა არ აძლევს თვის ბოლომდის და ვინ რას ჰკარგავს? ნეტა ვიცოდე, რაც რუსის მთავრობა შემოვიდა სულ რამდენი გაიტაცეს მღვდლებმა, იქნება მეასედი ნაწილი იმისა, რაც ნეტარ ხსენებულმა ა. არდაზიანმა იგემა, ან იმის მსგავსმა ჩინოვნიკებმა, რატომ იმათ არვინ დაუდგა დარაჯად? მაშ რალად უნდა თქვენი ეკლესიის ბეჭედი, თუ იმის დასმით ვერ ისარგებლებს ვერც ჯამაგირის გამოსატანად და ვერც თხოვნის მისაცემად?! დღევანდელს გარემოებაში სულერთია წარწერა ხუცური ექნება, მხედრული, სლავიანური თუ არაბული. დღეს ჩვენს ეკლესიას და მისს წარმომადგენელს სული ამოხდილი აქვს. კრებამ ეს საკითხიც უნდა უეჭველად აღძრას, უნდა ეკლესიის წარმომადგენელს თუ წინამძღვარს თავის დროს, თავის გაჭირვებაზედ, კეთილმოწესრიგის შეუმოწმებლად ნება ჰქონდეს სამაზრო სალაროდამ დაუბრკოლებლივ მიიღოს თავისი ჯამაგირი. ნუ სტანჯავთ!

5. სიტყვამ მოიტანა, საეპარქიო კრებამ თავისი დადგენილებაც უნდა გვამცნოს:—ჩვენს ეკლესიის ბეჭდებზედ ძველი ქართული წარწერა იქმნეს დატოვებული, თუ სლავურად შეიცვალოს. ის მაინც გაგვაგებინონ, რა დააშავა ძველმა წარწერამ და რა უნდა შეგძლვნას ახალმა წარწერამ? თუ ჩვენში ვინმე რაშიმე ბრკოლდება, განა ესევე არ უნდა იყოს სომხის სამღვდელოება? იმათ ბეჭდებსაც ხომ სომხური წარწერები აქვთ და არა სლავური. არ არის დაბრიყვება, ბოროტება მოსასპობი? არის და კრებამ კიდევაც უნდა დაადგინოს, რომ ჩვენი ბეჭდების წარწერანი ხელშეუხებელნი დარჩნენ.

6. უდიდესი საკითხია ბედი ჩვენის უბედურის სასულიერო სემინარიისა. რაც ომი დაიწყო, ის სულ ტანჯვაშია სულით და ხორცით. არც ერთი თბილისის სასწავლებელი, არც ერთი უწყებისა, წოდებისა და ეროვნებისა ისე არ დაზარალებულა, როგორც თბილისის სასულიერო სემინარია. ის სავალალო ცნობები, პატივცემულმა დეკანოზმა კეკელიძემ და ადგილობრივმა პრესამ რომ გამოამზევეს, ვის არ აუტირებს გულს და არ შეუშფოთებს სულს? მშიერ-მწყურვალნი, ტიტველნი და უბინაონი არიან სემინარიელნიო, მიშველება, მიხედვა უნდაო. სწავლაზედ ნულარას ვიტყვით, მარტო ბრმები ვერ დაინახავენ, რომ მათ, ეს მესამე წელია, ნორმალური სწავლა არ აქვთ და მთლად თუ არა, ნახევრად მაინც უსწავლელნი რჩებიან. კრებამ უნდა თავს იდვას საქმის შველა, რითაც და როგორც იქნება. უნდა ერთი ნაწილი ულუფისა შესწიროს თავის შვილების გამოკვებას სემინარიაში, უნდა თავშესაფარი ბინა გაუჩინოს, სხვა თუ არა, ისევ უნდა ძველ შენობაში მოაწყოს ცხოვრება და სწავლა, თუ სხვები ჰმართავენ იქ სასწავლებელს, ჩვენ ჩვენი შენობა ვერ უნდა მოვიხმაროთ? რომელი ქირა აგვინაზღაურებს იმ ზარალს, რაც ჩვენს მოზარდ თაობას დასდებია თავს? ღირსნო მამანო, მღვიძარე იყავით, ჰირი კარს მომდგარია.

7. რას წარმოადგენს ჩვენი სულის მოძრაობის გამომხატველი ორგანო, ჩვენი „Вѣстникъ Грузинскаго Экзархата“?—ჩვენს დაცინვას, ჩვენს არარაობასა, სხვას არაფერს. ნუთუ ჩვენ, მთელი საუკუნის განმავლობაში, ჩვენი ძალღონე იმად ვამუშავეთ, რომ შეგვექმნა ეს ფუჭი ორგანო? აბა გადაფურცლეთ მთელის წლის ნომრები, თუ შიგ ერთი ცოცხალი აზრი იპოვოთ? განა ჩვენი მაგისტრები, ღვთის მეტყველნი, მკვლევარნი და ისტორიკოსნი, ჩვენის ქართულის ენის მასწავლებელნი, პროფესორნი და სხვანი იმდენად უძლურნი და უსუსურნი არიან, რომ არ შეუძლიანთ წელიწადში თითო წერილი მაინც მოათავსონ? შეუძლიანთ კი, მაგრამ ჰაერი შეხუთულია, მოშხამული, ცა შეკრულია, წყევაა ღვთისა ჩვენს თავზედ მოვლინებული. რათა? და იმისთვის, რომ ჩვენ ყველანი მოღალატენი ვართ მაცხოვრის სიტყვისა: „ნუ იქნებით სასყიდლით დადგინებულნი მწყემსნი, იყავით მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დასდვას ცხოვართათვის; მწყემსმან სასყიდლით დადგინებულმან, ოდეს მოვიდის მპარავი, დაუტევოს ცხოვარი და ილტვის (ჩვენ ხომ მოგვეცა ეს ცხოვარი, ამის ფარს ვერაგინე ვყოფთ), ხოლო მწყემსმან კეთილმან, ოდეს დაჰკარგის ერთიცა მცირედი, დაუტევის ოთხმოცდა ათცხრამეტი და ეძიებდის და ოდეს იპოვის, შეისვის მხარზედ და იქმნების ფრიადი მხიარულობაჲ“. აბა ასე ვიქცევით? დრო არის, ღონე ვიღონოთ, გავტეხოთ რკინის სალტე, გარს რომ გვარტყია, გავხსნათ შეკრული ქერი, ვუთხრათ ეშმაკს—ვიჯმნი და შევუდგეთ საქმეს; ძირიან ფესვიანად შევცვალოთ ეგ ორგანო; თუ არა, სხვა დავაარსოთ, სადაც იბეჭდებოდეს ორიგინალური და ნათარგმნი, კაპიტალური თხზულებანი, თორემ სირცხვილი თუ არა, სავალალოა. მთელი საუკუნე გავიდა და რასა ვხედავ? შეადარეთ ამ საუკუნის მთელი ნაწარმოები ანტონ კათალიკოზის ნაშრომს „მზა მეტყველებას“ და სინიდისის წინაშე სთქვით, როგორც ღრმა ფილოსოფიურის მსჯელობით, ისე სიდიადით, რომელთ ჰჯობს? განა მარტო ის უნდა იბეჭდებოდეს ჩვენს ორგანოში, რომ მარტში ადგილი განთავისუფლდა მღვდელისა თუ მეფსალმუნისა და მეკი თიბათვეში მაწვდიან ამ ცნობას, როდესაც ცხოვართა საბანელში დიდი ხანია სხვამ იბანა? აილეთ მარტო ფარრარის თხზულებანი, განა არის და ვინმე ქრისტიანი ერი, რომელსაც ეს არ ეთარგმნოს და მისს სასულიერო ლიტერატურას არ ამშვენებდეს? დავუფიქრდეთ ჩვენს მდგომარეობას, მოვიფშვნიტოთ თვალები, მივიხედ-მოვიხედოთ გარშემო, ნუ შევიქნებით პასუხის მგებელნი წინაშე ჩვენის ერისა და მომავალის თაობისა; დავაარსოთ ერთი ყოველთვიური კარგი სერიოზული ორგანო სასულიეროთათვის, სადაც იბეჭდებოდეს ჩვენი და უცხოელთა საუკეთესო თხზულებანი. საფასურზედ ნუ შედგებით, ყველანი ვიკისრებთ წვლილის გაღებას.

8, უკანასკნელად მინდა შევეხო ჩვენს სანეტარო „ავტოკეფალიას“, მაგრამ საგანი რთულია და მე აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ: ჩვენმა გაზეთებმა, არ ვიცი, ცოლფინის ჩამოსვლით, თუ დღევანდელ მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულ პოლიტიკურ გარემოებათა მიხედვით, ერთობ ბევრი წერილი უძღვნეს ამ საგანს მიმდინარე წელს. განსაკუთრებით „საქართველო“. ეს საგანი ბევრს ბევნაირად ესმის, ზოგი ამაში სეპარატიზმსა ჰხედავს, ზოგსა ჰგონია, რომ საქართველოს ეკლესიას უნდა დაიბრუნოს თავისი დაკარგული ხუთას მილიონიანი მამული (თუმც ეს უკანასკნელი საძრახისი არ არის, თუ არ სასურველი). ჩემის ფიქრით, ეს ასე არ არის.—საქართველოს ეკლესია ეძიებს თავის სამწყსოს სულს, იმას ჰსურს თავისი სულის ახსნა, და ვისაც როგორც გინდათ, ისე გაიგეთ. ეს სულის ახსნა არის ა და ჳ, ჩვენის ეროვნულის სულიერის (და არა ასისი) არსებობისა, ჩვენი ყოფნის არ ყოფნის საწინდარი, უამისოდ ვერ შეგვიძლიან შევიქმნეთ საღი გონების, ზნეობის და სარწმუნოების ხალხად. ამისათვის ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ვეძიებდეთ ჩვენის ეკლესიის უფლებათა აღდგენას და აღიარებას. ამას ნუ დავაკისრებთ მარტო ჩვენს მღვდელ-მთავრებს, იმათ საკმაოდ იღვაწეს, კიდევაც დაისაჯნენ სიმართლისათვის... ორი ხომ გაგვიგზავნეს... უბრალო ანაფორის მატარებელნი შევებნეთ ამ საქმეს, დავაარსოთ ამ საქმისთვის საკუთარი კომიტეტი, ორგანო, გამოვიღოთ ყოველ წლობით წვლილი, განვიწმინდნეთ, განვსპეტაკდეთ, განვემზადნეთ, რომ მტერმა განკითხვის დღეს მძინარეთ არ მოგვასწროს, ხომ იცით, სახარების სიტყვები: ირეკდეთ და განგეღოთ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ და ჩვენი ძველის-ძველი ანდაზა: ხმა ერისა და ხმა ღვთისაო. შევაგნებინოთ მთელს ხალხს, გავათვითცნობიეროთ ამ საგნის შესახებ, გავუძღვეთ წინდა ვიწც აგვიხირდება მაშინ და რასაც გაიტანს, ვნახოთ.

დღეს შემოკრებილნო ღირსნო მამანო, იწყევით ესე ფრიადი დიდი საქმე და ჩვენ არ გიღალატებთ, ჩვენი ჯვარმენდლები უკან არ დაგვაყენებს, მოგყვებით მხარდა-მხარ, პირს არ შევირცხვენთ, დედის ძუძუს მომძრელნი არ შევიქმნებით.

9, დასასრულ, ორიოდე სიტყვაც უნდა მოგახსენოთ, იმ მოძღვართა შესახებ, რომელნიც ჩვენს სამწირველო ეკლესიებში ცდილობენ სლაური მსახურების შემოღებას. დღეს კრებამ უნდა უსათუოდ დაჰგმოს და დაადგინოს, რომ ამისთანა მოძღვარნი და სულის მამანი მოკვეთილნი და განდევნილნი იყვნენ თავის მოძმე თანამწირველთაგან.

მღ. ი. ხატიაშვილი.

დაბა-სოფლები

გორი. 1916 წელს, ზაფხულის პირს, 5 თიბათვიდან მოყოლებული 11 თიბათვემდე ქ. თბილისში იმართებოდა სახალხო მასწავლებელთა საურთიერთო კავშირის კრებები. ერთ-ერთ კრებაზე გაიმართა საუბარი ფილიალურ განყოფილებათა შესახებ; სხვათა ორის გადაწყდა ამ საზოგადოების განყოფილება ქ. გორშიაც გახსნილიყო, და ამ განყოფილებაში უნდა შესულიყვნენ გორის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებელნი. მაშინვე დაიწერა უმთავრეს გამგეობასთან თხოვნა, ამორჩეულ იქმნა დროებითი გამგეობა, რომელსაც დაევალა საქმის ხელმძღვანელობა, ვიდრე ეს ფილიალური განყოფილების საორგანიზაციო კრება შესდგებოდა. ყველას იმედი ჰქონდა, რომ იმავე ზაფხულის ბოლოს დროებითი გამგეობა ყოველსავე ღონეს იღონებდა და კრებას მოიწვევდა, რადგანაც დრო ამისათვის შესაფერი და საუკეთესო იყო: ყველა მასწავლებელის თავისუფლობის გამო საშუალება ჰქონდა დასწრებოდა კრებას ქ. გორში. მაგრამ ზაფხული გავიდა, მიდის შემოდგომაც და დროებითი გამგეობის მოქმედებისა კი არა ისმის-რა.

მგონია, მეტი დახანება საჭირო არ არის, მეტადრე ამ დროში, როდესაც ყველამ შეიგნო ორგანიზაციათა და შეკავშირებათა საჭიროება, თუ ამ ახლო ხანში ვერ მოახერხებს დროებითი გამგეობა კრების მოწვევას, მომავალ საშობაო და საახალწლო არდადეგებში მაინც თავისუფალ დროს ნულარ დაჰკარგავს, საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება; ნუთუ მასწავლებელნი ვერ მიხვდნენ, რომ თუ თვით არ უშველეს თავიანთს თავს, თუ თვით არ მიაქციეს ყურადღება თავის უმწეო მდგომარეობას და სახალხო სკოლის ანორმალობას, სხვა მათთვის თავს არ შეიტკივებს და არ შესწუხდება!?

ხოხო.

შემოწირულება

ბ. რედაქტორო!

გიგზავნით ამასთან ორას თვრამეტ (218) მანეთს და გთხოვთ გადასცეთ ავადმყოფ მსახიობს ვალერიან გუნიას, რომელსაც მრავალ-რიცხოვანი მისი პატივ-მცემელნი ჰუსურვებთ მალე განკურნებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს მშობლიურ სცენის სასარგებლოთ...

შემომწირველთა სია: გრ. ელიავამ 25 მანეთი; ვ. მხეიძემ, პ. გიგინეიშვილმა, ს. წერეთელმა, მ. მაძიაშვილმა, ვ. რუხაძემ, დ. კანდელაკმა. ა. მდოიანცმა, თ. რ. ჯავახიშვილმა, ძმ. მელიქებმა, დ. ვ. ჭედიამ,—თითო თუმანი. ბ. ჟურულმა, პ. ტუსკიამ, გ. თავართქილაძემ, გ. ანჯაფარიძემ, ა. ვოზმავამ, გ. აბაკელიამ, ე. კრინიცკიმ თ. ჯაყელმა, ე. ხორომანსკიმ და ზ. ბესტავაშვილმა ხუთ-ხუთი მანეთი. ი. მესხმა, გ. გელოვანმა, ვ. ღლონტმა, ლ. სარიშვილმა, მ. ემოვლიძემ, ლ. ზოდელავამ და ტ. ჩხაიძემ სამ-სამი მანეთი; ქ. შოშიტაიშვილმა, ვ. სინელნიკოვმა, ი. საბახტარიშვილმა, ნ. ხომერიკიმ, ი. ჭავჭანიძემ და სიმონ ესაკიამ — ორ- ორი მანეთი; ს. ჩხატარაიშვილმა, ა. ჩიხლაძემ, მ. მენაბდემ, ს ევტაშვილმა. ი. საბასტარიშვილმა, ა. ჰიშკარიანმა, ვ. ხალასოვმა, ა. ახობაძემ, გ. კობახიძემ და ნ. ოსტაპჩუკმა — თითო მანეთი.

პატივის-ცემით **გრ. ელიავა.**

შემოწირულებანი ჰანეთისათვის.

რედაქციამ მიიღო შემოწირულება ჰანელების სასარგებლოდ იაკობ სიმონისძე ზედგინიძესგან ათი (10) მანეთი.

თ-დი ივ. რ. მაყაშვილი 10 მ., გ. კოკოშვილი 10 მ., ბ. გ., ილ. ზურაბიშვილი, თ-დი ლ. ჩერქეზიშვილი ხუთ-ხუთი მან.; დ. გ. ფალავანდიშვილი, დ. დიასამიძე სამ-სამი მან.; ირ. თაზიშვილი 2 მან.; ივ. შატბერაშვილი, გ. იორდანიშვილი, მ. ციციშვილის ასული, ა. ესიკაშვილი თითო მან. სულ 47 მან.

ბ-ნო რედაქტორო!

ამასთან გაახლებთ რკინის გზის მართველობის ეგრედ წოდებულ „Служба сборовъ“-ის ქართველ მოსამსახურეთა შორის ქართველ დაავადმყოფებულ და ხელმოკლე მწერალთათვის აგარაკის ფონდის გასაძლიერებლად შეგროვილ წვლილს, რომელსაც იმედია, გადასცემთ დანიშნულებისამებრ: სია შემომწირველთა:

თითო მანეთი: ივანე მაისურაძე, სიმონ გიორგობიანი, ნიკო ირემაძე, იოსებ გოგინაშვილი, ფ. გველესიანი, სიმონ ნატროშვილი, ლ. კორძახია, ალ. ნანობაშვილი, ივ. ბაქრაძე, დ. არონიშიძე, ი. თაქთაქიშვილი და ვანო მაისურაძე.

ათ-ათი შაური: გ. გიორგაძე, კაპანაძე, თარხნიშვილი, ა. ლომიძე, მ. ახვლედიანი, მ. ჯაფარიძე, ვ. ბარნოვი, კ. ნაროუშვილი, ზ. სულთანიშვილი და ზ. ნატროშვილი. სულ 17 მანეთი.

პატივ. **ირაკლი ნეხ. თაქთაქიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, .	6 „ 24 „	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მილების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

„სორაპნის“ გამოცემა

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში

კედლის კალენდარი

შედგ. მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა

ფასი 70 კაპ.

1917

სახალხო კალენდარი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ფასი 80 კაპ.

„პარტიით“ მყიდველებს შეუძლიანთ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.

(12—252—5)

ახალი უებარი საშუალება
და
ახალი გამოგონება

საგანგებოთ **ქალთა** წამლობა. ვისაც თეთრანა (სუსუნატი) და ნორმალური რიგი აქვს ქავილითა, ვურჩევთ იყიდონ შესაშხაპუნებლათ ადვილათ გასახსნელი კვერები „ალბინი“ და აბები „უროზინი“ (სუსუნატის წინააღმდეგ) პროფესორის დოქტორის აროპეონისა. კვერები „ალბინი“ მარგებელია და შესაშხაპუნებლათ შეუძლიათ იხმარონ აგრეთვე კარგათ მყოფ ქალებმაც. დღეში ორჯერ, სქესობრივ კავშირის შემდეგ, რომ არ შეიყარონ რაიმე ვენერიული ავათმყოფობა. ეს წამალი ნებადართულია **საექიმო საბჭოსაგან.** ფასი კვერებისა 3 მანეთია, აბებისა აგრეთვე 3 მან., რომ სუსუნატისაგან განიკურნოთ, საჭიროა 6 კოლოფი „ალბინისა“ და 4 კოლოფი „უროზინისა“. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც, მხოლოთ ზედ უნდა გაუგზავნოთ 5 მან. წამლები უნდა შეუკვეთოთ მხოლოდ კავკასიაში წარმომადგენელს: Р. Я. Шмидтъ, Тхинвальская 12, Тифлисъ. (რ. შმიდტი, თხინვალის ქ. № 12, თბილისი).

(თვ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.